თეატრი და ცხოვრება

№ 26

ფასი 15 მანეთი

გაუმარჯოს თავისუფალ ხელოვნებას
თავისუფალ საქართველოში!
გაუმარჯოს საქართველოს
დემოკრატიულ რესპუბლიკას!

„თეატრი და ცხოვრება"

წლიურად 500 მან., ნახევარი წლით 300 მან. თითო ნომერი — 15 მან. ხელის მოწერა მიიღება: თბილისში, ქართ. ბეჭდვითი ამხ. სტამბაში, რუსთ. პრ. № 26. წერილები და სხვა ყოველგვარი მასალა უნდა გამოიგზავნოს თბილისი რედ. „თეატრი და ცხოვრება" იოსებ იმედაშვილს.

ტელეფონი № 4—73.

დაარსების წელიწადი მეათე, გამოცემის მერვე

სათეატრო, სალიტერატურო, სამუსიკო, სამხატვრო და საზოგადოებრივ შინაარსის ყოველკვირეული ჟურნალი.

დაარსდა 1910 წ. | კვირა, მკათათვის 18 | გამოცემა 1920 წ.

# „წითელ" აზერბეიჯანის ტყვეობაში

მამაცურ ბრძოლაში უამრი მტრისგან დატყვევებულნი, რომელთაც აზერბეიჯანში კომუნისტ-ბოლშევიკებმა საუკეთესო ტანისამოსი გააძვრეს, თავისი ძველი ტანისამოსი ჩააცვეს, ქუჩა-ქუჩა ატარებდენ და ხალხს ეუბნებოდენ: აი საქართველოს ასეთი ჩამოძონძილი ჯარი ჰყავსო, შემდეგ მოსთხოვეს—ჩვენს „ქართულ" პოლკში შემოდით საქართველოს წინააღმდეგო, მაგრამ რაკი ტყვენი არ დასთანხმდნენ, ნარგენის კუნძულზე გადაასახლეს და თითქმის შიმშილით დახოცეს. ზავის შემდეგ ეს ტყვეები გაანთავისუფლეს.



აზერბეიჯანის ტყვეობიდან ჩამოსული ქართველი ტყვეები თბილისის სადგურზე, ჩამოსვლისთანავე გადაღებულნი.



იგივენი სამშობლოში ჩამოსვლის სამი დღის შემდეგ, — გასუფთავებულ ჩაცმულნი. ხელში უჭირავთ საჩუქრები, მადლიერ სამშობლოსგან მირთმეული. შუაზე ფრონტის კომიტეტის თავმჯდომარე, დამფუძნებელ კრების ქვესტორი ს. ჟორჟოლიანი. (ფოტ. ე. ქვანიასი)

# სადღეისო

### ბათომის სახალხო თეატრი

ბათომის ოლქის შემოერთებით მთელი ქართველი ხალხი ჰხარობს, მაგრამ ასეთსავე სიხარულს არ განიცდის ქართული მელპომენის ტაძარი ბათომში.

ბათომის მუშა ხალხი, რომელმაც რევოლიუციის პირველი აკვანი დაარწია და ბოლოს ბათომის ახალი ბატონების ტყვეობის ჟამსაც გატაცებით მუშაობდა სამშობლო-საქართველოს გაერთიანებისათვის, დიაღ, დემოკრატიის ეს მოწინავე რაზმი დღესაც მოკლებულია საკუთარს თეატრს.

არსებული თეატრები ანუ საკლუბო სცენები უმეტესად მუქთახორათა სანებივროდაა გადაქცეული, ხალხისთვის ხელმიუწვდენი; ქართულ სასცენო ხელოვნებას ხომ სულს ჰხუთავენ.

ამიერიდან ეს აღარ უნდა იყოს

ბათომის დემოკრატიამ დიდი ხანია დაიმსახურა, რომ ერთ-ერთი თვალსაჩინო თეატრი მიეკუთვნოს სამუდამოთ თუ არა კვირაში ორჯერ ანუ ერთხელ მაინც იაფფასიან სახალხო წარმოდგენების სამართავად.

ბათომში სცენის მოყვარენი მოიპოვებიან, სურვილი წარმოდგენების მართვისა ძლიერია და ჩვენი მთავრობის მოვალეობაა — ბათომის დემოკრატიის ამ სურვილს ანგარიში გაუწიოს!..

იმედია მოწოდება ჩვენი არ დარჩება ხმაუმლადებლისად უდაბნოსა შინა!

### მივხედოთ დამსახურებულთ!

ჩვენის განახლებულ სამშობლოს საუკეთ მზრუნველობას ჯერ კიდევ ვერა ჰგრძნობს ამ სამშობლოს აღდგენისთვის მარად მოღვაწეობაში საჰყარქმნილი.

ძველი მთავრობის წინააღმდეგ ბრძოლაში, პრაქტიკულ თუ თეორეტიულ საქმიანობაში ბევრმა დაჰკარგა ჯანი და ღონე, ძარღვები და სულიერი სიმშვიდე, ქონების შეძენის უნარიც კი.

ბევრი მათგანი არა თუ სიმშილით შეწუხებულია, საზაფხულო დასასვენებელი ადგილიც ვერ უპოვნია.

რესპუბლიკის ვალია ასეთ დამსახურებულ პირებზე იზრუნოს.

რომელსამე საგარაკოში (თუნდა ჩაქვში, მწვანე კონცხზე და სხ.) ერთი ანუ ორი შენობა რომ გამოჰყოს და ასეთ დამსახურებულთ ორი-სამი თვით საცხოვრებლად მიუჩინოს, — სულიერ-ხორციელად ბევრს გამოაბრუნებს. ამას მონდომება უნდა, გაკეთება არც ისე ძნელია.

### კონგრესისათვის

სრულიად საქართველოს სცენის მოყვარეთა და საერთოდ სახალხო კულტურის მოღვაწეთა კონგრესის მოწვევა დაახლოვებით ენკენისთვისთვისაა განზრახული, — ყველა ჩვენ შემკითხველთ მიუთითებთ ჩვენს ჟურნალში დაბეჭდილ წერილებზე („თ. და ც." № 25, და 20). გაეცნონ ამ წერილებს და თანახმად ამ გეგმისა საკონგრესოდ ემზადონ. — თუ საქართველოს სახალხო თეატრის მოწყობა-ამაღლება გვსურს, — ამას კი ყველა აღიარებს, — ამ კონგრესსაც შეგნებით უნდა შევეგებნეთ.

### გაერთიანებული საქართველო

საქართველოს მთლიანობის მტრობას საფლავი გაეთხარა; მკათათვის 7 შუადღისას ჩვენი ჯარი დიდის ზეიმით შევიდა ბათომში, ხოლო იმავე დღეს საღამოთი ქ. ბათომშივე ორმა დიდმა სახელმწიფომ — ინგლისმა და საფრანგეთმა — თვისი დროშები ჩამოხსნეს, ჩვენი ააფრიალეს. მთელი ხალხი უზომო აღტაცებით შეხვდა. საქრისტიანო და სამუსლიმანო საქართველო გაერთიანდა.

გაუმარჯოს გაერთიანებულ საქართველოს!

ამიერიდან უფრო ძლიერი კულტურული მუშაობა გვმართებს, მაგრამ ამაზე შემდეგ.

# რომანსი

(ძღვნად ლ—ას)

ძილში თუ ცხადათ შენი სახე სულ მაგონდება,
გადიან დღენი, ველარ გხედავ, გული ღონდება!..
მოდი, ძვირფასო, ერთხელ მაინც არ გენატრები?!
ვიწვი, ვიდაგვი სანთელივით, ხომ მხედავ ვქრები,
მოდი, ძვირფასო, ერთხელ მაინც არ გენატრები?!

დარდმა-ნაღველმა-მწუხარებამ დაადნო გული,
ჩემს ბედშაობას აღარ უჩანს აწ დასასრული!..
სანამ ვატარო, მითხარ, აბა ეგ სევდის რიდე, —
განა შენ გინდა რომ ვსტიროდე დ ცრემლებს ღვრიდე,
სანამ ვატარო, მითხარ, აბა ეგ სევდის რიდე?!

ამ ჩემ გარშემო საამურად ყვავის მ დამო,
და მე არ მესმის არსაიდან ხმები საამო;
სატრფოვ-სიცოცხლევ როდემდინ გსურს ობლად მატარო
და სიხარულის ნაპერწკლები არ მომაკარო!..
სატრფოვ-სიცოცხლევ, როდემდინ გსურს ობლად მატარო?

**აპოლონ კულაშელი**



# შენიშვნები ხელოვნებაზე

## I

თბილისის კონსერვატორიის სამხატვრო საბჭოს დაუდგენია, გამოეყოს რუსეთის სამუსიკო საზოგადოებას და ეთხოვოს მთავრობას, რათა მიეცეს მას სახელმწიფო უფლებები.

ჯერ ერთი: რუსეთის სამუსიკო საზოგადოება, როგორც ასეთი, არც იურიდიულად და არც ფაქტიურად აღარ არსებობს. რაც საქართველოში დამოუკიდებლობა გამოცხადდა, როგორც რუსეთის სხვა დაწესებულებების ქონება გადაეცა საქართველოს, ისე კონსერვატორიის ქონებაც უნდა გამხდარიყო სახელმწიფოებრივი.

მეორე: რაზე დასჭიოდა ამნაირი დადგენილების გამოტანა სამხატვრო საბჭოს იმ დროს, როდესაც საქართველოს დამოუკიდებლობა მესამე წელიწადს გადავიდა. ნუ თუ მარტო ეხლა იგრძნეს თავი საქართველოს რესპუბლიკაში?

წარმოვიდგინოთ, რომ ხელოვნების კომისიამ მისცა სახელმწიფო უფლებები და დაარქვა მას სახელმწიფო კონსერვატორია. ნუ თუ ის რუსიციზმი, რომელიც მეფობს კონსერვატორიაში და რომელიც ასე ძალისს უხდენს მეცადინეობისას ქართველ მოწაფეებს, უნდა დარჩეს? იქ ქართულ მუსიკას და ენას არავითარი ალაგი არა აქვს დათმობილი. რაში გვჭირია სახელმწიფო კონსერვატორიაში მაგალითად სპეციალური კლასი რუსის დიქციისა და რატომ არ უნდა იყოს ქართული? რატომ არ უნდა იყოს დაარსებული ქართული საოპერო სტუდია ეროვნულ რეპერტუარით, ქართული საგუნდო კლასები, ქართულ სამუსიკო ისტორიის და თეორიის კლასებიც და სხ.

ყველა ეს საჭიროა უპირველესად ქართულ კონსერვატორიაში არ კმარა „ვივესკის“ გამოცვლა, საჭიროა შეტანილ იქმნას სული და შინაარსი ჩვენი ერისა.

ამას მოითხოვს ჩვენი სახელმწიფო ინტერესი და ეროვნულ ესთეტიური გემოვნება.

## II

დავესწარით ქართველ მხატვართა საზოგადოების მე 3 სურათების გამოფენას და სიმართლე უნდა ითქვას კმაყოფილნი დავრჩით. მართალია, გამოფენილ სურათების მეტი რიცხვი არა ქართველთ ეკუთვნისთ, მაგრამ თემა თავის მუშაობისა მეტ წილად აღებული აქვთ აღმოსავლეთურ და კერძოდ ქართველთა ცხოვრებიდან. ქართველ მხატვრებს შორის აღვნიშნავთ: ვ. ჯორჯაძეს, გ. მესხის, ნ. ფიროსმანიშვილს, დ. გველესიანს, მოქანდაკეთ: შაქრო გონვაძეს და ი. ნიკოლაძეს. რასაკვირველია ფიროსმანიშვილმა განსაკუთრებული ალაგი დაიჭირა ჩვენს მხატვრობაში. სხვებსაც ემჩნევათ მრავალფეროვანი ნიჭი. ბევრი გრძნობა და სილამაზეა მათ შემოქმედებაში და მეტიც იქნება, რომ ჩვენს საზოგადოებას მხატვრობა მეორე ხარისხის ხელოვნებად არ გადაექციოს. რა ნიჭიერია მხცოვანი ბაშინჯაგიანი და რა მცირედ აფასებს სომხის ხალხი ამ მეორე აივაზიანცს. საერთოდ ბევრი საყურადღებო სურათია. გამოდიხარ გამოფენიდან და სევდაც თან გამოგყვება: საქართველოში არა თუ არ არის დაარსებული სამხატვრო აკადემია, მის დასაარსებლადაც კი არ გადადგმულა ნაბიჯი.

საქართველოში ულამაზესი ბუნებაა, რომელმაც მოგვცა და მომავალშიაც მოგვცემს მრავალ ნიჭიერ მხატვარს.

მხოლოდ მეტი ყურადღება: მორალური და ნივთიერი ..

ს. წერეთელი

# ევროპა თუ აზია

(ვ. კოტეტიშვილის წერილის გამო „ლელო“-ში)

ჩვენს ერთ-ერთ წერილში („თეატრი და ცხოვრება“-ში) ვწერდით, რომ ქართული ხელოვნების განვითარება ასცდა თავის ბუნებრივ გზას. და დავპირდით მკითხველს იმ გზის ჩვენებას, საითკენაც უნდა გადიხაროს ქართულ ხელოვნების მსვლელობა. ის წერილი თავის დროზე დაიტვიფრება, მხოლოდ აქ გვინდა მივაქციოთ ყურადღება განსაკუთრებით ამ კითხვას საითკენ მიისწრაფვის ქართული ხელოვნების განვითარება და სასურველია თუ არა ტენდენცია ამ გზით სვლისა ქართულ ხელოვნებაში.

ვ. კოტეტიშვილის პასუხი მარტივია და სადა. იმში ვერ ეგუება ქართულ სულს—აზია აკვანია კულტურისა. იქ იცოდენ მისტიურობა, ასკეტიანება. იგია აკვანი ფილოსოფია-ხელოვნებისა და ქართული ხელოვნების სულიც უნდა დაუბრუნდეს ძველს გზასა. ამ პატივცემულ პირის აზრით თურმე ქართულ პოეზიის ადიუტანტმა ორბელიანმა სცადა შეჩერება იმ მისა, მაგრამ ვერ შესძლო. ბ-ნ კოტეტიშვილის ყველა წერილებს ხელოვნებაზე, რომელნიც მას გამოქვეყნებული აქვს, ეტყობა ძლიერი გაქანების სურვილი აზიის თვალ-უწვდენელ ველ-მინდვრებში, სადაც ოდესმე გაჰკიოდენ მუდამ ნაზიად-მხიარული ჯამბაზები, სადაც კიროს-ბალტასარ-რამსეს-მიამუნი, რელიგიოზურ ექსტაზის დროს, მოგვების ცერემონიალით უმაღლეს პოეტურ თვლემას ეძლეოდენ. როგორც საერთოდ ყველა „ახალ ხელოვნების“ მიმდევარს ბ ნ ვ. კოტეტიშვილსაც ახასიათებს ეგ მიდრეკილება აზიისაკენ. ზოგს ძმებს მოსწონს ანტილიის კუნძულები, ზოგს მალაის არქიპელაგი და ზოგს აზიის პირამიდ-სფინქსები სარკოფაგ-მუმიები და ინდოეთის თუთიყუში. ამ აზიის ფეტიშად ქცევაში დიდი ღვაწლი მიუძღვის რუსეთის სიმბოლისტებს ყველაზე უნიჭო მათში ყველაზე ნიჭიერად ხატავდა აზიას. ამას თვით „თეთრი გედის“ ავტორი კ. დ. ბალმონტი დაგვიმოწმებს. ევროპის ახალ ლიტერატურაში ერთ დროს ძლიერ გავრცელებული იყო აზიისკენ მზერა. არ იფიქროთ აქ ჩვენ ვგულისხმობდეთ ევროპის კომერციულ ანგარიშს აზიაში ან და იმავე ევროპისთვის ყვითელ რასის საფრთხეს, რომელიც მჭევრმეტყველად გააქარწყლა ელიზე რეკლიუმ თავის მსოფლიო გეოგრაფიაში. აქ იყო სოული სიკოტრე მასალისა. **„Оскудѣніе поэтическ. матер. вызвало стремленіе распознаваніи древностей Азіи“** ამბობს პროფ. აინხენვალდი (იხ. სტ. **„Лирика обыденной жизни“**). აუცილებლად აზიისკენ. მას სიძველისაკენ სვლის წადილი სოციალურ ნიადაგზედ იყო აშენებული. გაყინული ევროპის ცხოვრება და უმთავრესად კი რუსეთის, თავისუფალ შემოქმედებას ჰბოჭავდა, აბორკილებდა, ამან დაჰბადა ინდიფერენტიზმი სოციალურ კითხვათა მიმართ და რუსეთის რჩეულმა მგოსნებმა აზიას მიაპყრეს გულის ყური. დამახასიათებელია ის მოვლენა, რომ განსაკუთრებით სიმბოლისტები მიილტოდენ გრძელ პერგამენტებით აზიისკენ.

ერთი ფრანგი კრიტიკოსი ასე განმარტავდა სიმბოლიზმს: „Символизмъ есть та форма искусства, которая дасть удовлетвореніе одновременно и нашему и вашему желанію изобразить дѣйствительность, и

нашему желэнію выйти изъ ея предѣловъ онъ дасть конкретное вмѣстѣ съ обстрактнымъ".

მაგრამ ჯერ ერთი, ის ფორმა ხელოვნებისა, რომელიც კონკრეტიულთან ერთად რომ აბსტრაკტიულს გვაძლევს, მხატვრული სახე იფერუვლება და ფერმკრთალდება აბსტაქციის შერევის წყალობით. მეორედ რა საჭიროა თვის ეს აბსტრაქცია? ზემოდ დასახელებულ კრიტიკოსის აზრით, აბსტრაქცია საჭირო ყოფილა, როგორც საშუალება სინამდვილის საზღვრებიდან გასვლისა. მაგრამ სინამდვილის საზღვრებიდან გასვლა,—ჩვენ ყოველთვის სინამდვილესთან გვაქვს საქმე,—შეიძლება ორი ჩვენი აზრისთვის ორი გზით: ერთი სიმბოლოების საშუალებით, რომელსაც მივყევართ აბსტრაქციების სამყაროში, და მეორე იმავე გზით, რომლითაც სინამდვილე; სინამდვილე დღევანდელ დღისათვის საკუთარ ძალებით ანვითარებს თავის საკუთარ შინაარს, გამოდის თავის საზღვრებიდან, ხდება ტრანსფორმაცია და იქნება საფუძველი მომავალის სინამდვილისთვის. ლიტერატურის ისტორია გვიჩვენებს, რომ ადამიანის აზრი არსებულ სინამდვილიდან გამოდის ხან ერთი გზით ხან მეორე გზით. პირველ გზით, მაშინ, როდესაც აზრი ვერ იგნებს, ვერ შეიცნობს სინამდვილეს. მისი რაობის ამოცნობა არ შეუძლია, არ ძალუძს სინამდვილეს განვითარების მიმართულება გაიგოს; მეორე გზით—მაშინ როდესაც—უკვე არსებულ სინამდვილის ძალების განვითარების მიმართულებას იგნებს, რომელიც ძლიერ სიძნელეს წარმოადგენს და ზოგ შემთხვევაში მისი გამოცნობა შეუძლებელიც კი არის. ჰეგელის გამოთქმით ამ დროს ადამიანი ამბობს **„საარაკოს სიტყვებს, რომელნიც აღადგენენ მომავალის სახეს"**.

ეს საარაკო სიტყვები და მისი წარმოთქმა არის ნიშანი ძლიერებისა, ხოლო ამის უთქმელობა—სიუძლურისა. და როდესაც საზოგადოებაში არის მიდრეკილება სიმბოლიზმისაკენ, ეს ნათელი და აშკარა მაჩვენებელია იმისა, რომ, აზრი სოციალობისა, ან ერთ რომელიმე კლასისა, რომელიც თავის გავლენას სტოვებს შემომქმედზე. არ ძალუძს ჩაწვდეს საზოგადოებრივ ცხოვრებაში არსებულ განვითარებას ძალებისას. „სიმბოლიზმი" ეს სილარიბის დამამტკიცებელთა, როდესაც გონება-აზრი შეიარაღებულია სინამდვილის გაგებით, მისთვის საჭირო არ არის სიარული სიმბოლიზმის უდაბნოში."

ამბობს გ. ვ. პლეხანოვი (იხ. მ. „За 20 май")

სწორედ ამ სოციალურ სინამდვილის გაურკვევლობამ დიდი როლი ითამაშა სიმბოლიზმის აღმოცენებაში და შეიძლება პირველი მთავარი მიზეზთაგანიც კი იყოს. ჩვენ პირდაპირ საკითხს გვერდი აუხვიეთ, მაგრამ მით ეს საჭიროა, რომ საგნის შესახებ ნათელი წარმოდგენა ვიქონიოთ.

აზიისკენ ქართულ ხელოვნების სულს სიმბოლისტები უხმობენ, მაგრამ ამ ძახილში დიდი რეაქციაა. სოციალურ ორბიტიდან გამოსვლას ლამობს იგი და წარსულ სოციალურ ფორმაციაში იჭრება. საინტერესოა აქ ანალოგია სიმბოლიზმისა რომანტიზმთან, მათი განვითარების მხრივ. როგორც ვიცით რომანტიზმი რეაქციაა ცრუ კლასიციზმის წინააღმდეგ, მაგრამ რეაქცია პროგრესიული, ხოლო თავის განვითარების შემდეგ საფეხურში იგი არსებითი რეაქციად ხდება, სინამდვილის აქტიურ ბრძოლის ველს სტოვებს და ხდება სუროგატად.

Разрузданность въ мышлен и и жизни была первой опасностью, которой романтизмъ грозилъ нѣмецкой духовной жизни", роковой поворотъ назадъ былъ второй опасностью*), ამბობს კრიხგაუზენი.

რომანტიზმის უკანასკნელ საფეხურზე განვითარებისა შლეიერმახერისაგან უარყოფილი დამოკიდებულება სარწმუნოებასა და ხელოვნებას შორის წარმოშობისას ძლიერი ინდივიდუალიზმი, ისტორიულად აუცილებელი, ბოლოს იქცევა მისტიკათ, და უმთავრესს ყურადღებას დანგრეულ საშუალო საუკუნოების კოშკებს მიაქცევს. რომანტიზმი გამოდის არსებულ სოციალობის ორბიტიდან და საშუალო საუკუნოების საზოგადოებრივ კონსტრუქციაში თავსდება.

ასე მოუვიდა სიმბოლიზმსაც. ქართულ ხელოვნებაში და კერძოდ პოეზიაში სიმბოლიზმი ჩრდილოეთის ლიტერატურიდან იქნა გადმონერგილი, სახელდობრ რუსული ლიტერატურიდან. ამიტომ, როგორც ყოველთვის ლიტერატურის ამ სკოლამ მიბაძვით დაიწყო. ეს მიბაძვა ბოლოს და ბოლოს მონობას დაუახლოვდა, რამაც პროტესტი გამოიწვია. ერთი ამ პროტესტთაგანია მისი ნიმუში ბ-ნ ვ. კოტეტიშვილის წინათქმა „ლეილა"-ში, მაგრამ პროტესტი გრძნობის კილოზე აგებული.

ქართულ ხელოვნების განვითარება მუდამ **ორი** ელემენტის ზედგავლენით ხდებოდა —სპარსულ-არაბულის და ბიზანტიურ-ევროპიულის. მაგრამ **ერთი რომელიმეს სრულებით დამორჩილება ქართულ ხელოვნებას არ ატყვია.** ამ მხრივ საკმარისია მხედველობაში მივიღოთ ყველა ის უფლებრივი სანქცია ჩვენი სოციალურ ცხოვრებისა წარსულში და თუ გნებავთ მთელი სოციალური ინსტიტუტიც კი. აზია წარსულში აკვანი იყო კულტურის. ჩვენ მას გავასწარით მთელი ჩვენი სოციალურ-სულიერ კულტურით თავგორი ნუ მოგვხიბლავს და ძახილი აზიისაკენ შეუგნებელი რეაქციონერობაა, რომელსაც უნდა უფრთხოდეს ხელოვნების დამფასებელი, მით უმეტესად მე-XVIII საუკუნის მატერიალისტების მეტაფიზიკურ სისტემით რომ ვითართებოდეს მსოფლიო რაობა, მაშინ კიდევ შეიძლება ძველისკენ დაბრუნება, მაგრამ ჩვენ შემეცნების ხის წვერზე კიბეებით ავდივართ, რომლის საფეხური უთვალავია. ამიტომ ჩვენი დევიზი უნდა იყოს არა აზიისკენ არამედ წინ **ევროპისკენ**. რომ არ განმეორდეს ჟ. რუსოს კომედია საჭიროა ყოველმხრივ იქნეს შეფასებული სინამდვილე და აღმოჩენილი მიმართება მიმართულებისა. ჩვენი განვითარების ისტორიულ ლოლიკას ჩვენ ზღვით ევროპისაკენ მივყევართ. ეროვნული სული არ ჰქრება, თუ არსებობს ეროვნება როგორც ფსიქოლოგიური მომენტი. ტრადიციების გამონახვა, მისი აღდგენა ომის მოლოდინში, ჯარების პარადის დროს თუ იქნება მნიშვნელოვანი. მხოლოდ ცოდნა თუ რანი ვიყავით წარსულში, ყოველ კულტურულ მოქალაქისთვის საჭიროა რომ მისი მომავლისთვის მუშაობა ნაყოფიერი იქნეს.

სული განყენებულად ხორცისაგან უაზრობაა და მისი ძიება აზიის ან კერძოდ სპარსეთის ჰარამხანებში. ისეთია ძაღლმა რომ თავისი კუდი იჭიროს. ჩვენი ხელოვნება გაევროპიელობის გზას დაადგა. ამის ნათელი ნიმუშია ჩვენი სათეატრო ხელოვნება. ხელოვნება ბიოლოგი-

---

*) დედანის უქონლობის გამო ამოღებულია ბრუნეტიერის წერილებიდან „Вѣстникъ Е-роны". „Разборъ лит. XIX вѣка".

ურის თვალსაზრით უკვე ისრულებს თავის მოვალეობას. ჩოხა რომ სერთუკათ შეიცვალა, არწივის თვალები ბინოკლათ, ობა—იზმით, ძველებური ოდა—ახალ ჰიგიენაზე მოწყობილ სახლებათ,—ეს ნუ გვაკვირვებს. ასეთია ლოღიკა ცხოვრების განვითარებისა.

ძახილი შორეულ წარსულზე ისეთივე უნიადაგოა, როგორც დღეს თქმა იმისა, რომ „დიდება ივერიისა მასთან მარხია სამარეს".

ამ რიგად ქართულ ხელოვნების გზა ევროპისაკენაა, რადგან ჩვენი ყოველმხრივი განვითარება ევროპიულ ყაიდაზე სწარმოებს. სასურველია თუ არა, ამაზე ჩვენ ვუპასუხებთ ჰეგელის შემდეგი სიტყვებით:

,,В е дѣй-твительное разумн›''.

პ. კეკელია

# მოგონება

თბ·ლისის წმ. ნიკოლოზის ქართულ ეკლესიის სკოლის დარბაზში გაიმართა ქართველ სამღვდელოების კერძო კრება. კრებას უნდა განეხილა, თუ როგორ რა გზით მოეხერხე?ინათ მთელ საქართველოს სამღვდელოების საზოგადო კრება ქართულ ეკლესიის ავტოკეფალიის შესახებ. ხალხი ბლომათ დაესწრო, როგორც სასულიერო, ისე საერო. თავმჯდომარეობდა დეკ. ტყემალაძე. როგორც ლაპარაკიდან სჩანდა არქიელი ნებას არ აძლევდა ქართველ სამღვდელოებას, რომ შეკრებილიყვნენ. სამღვდელოებას-კი უეჭველად უნდოდა. როგორა და რა გზით, ამაზე იყო აზრების შეჯახება. ლაპარაკი გამწვავდა. შუა დარბაზში იდგა დიდი გძელი მაგიდა. მე ერთერთი კუთხე მეჭირა. დარბაზის კარი გაიღო. ხალხი დაწყნარდა. ყველას თვალი კარებისკ,ნ ჰქონდა მიპყრობილი. მოვიხედე და დავინახე ჩვენი დიდება და სიამაყე ილია ჭავჭავაძე. ჩემს ახლოს, გვერდზე თავისუფალი ალაგი იყო. ილიამ დაიჭირა ის ალაგი ლაპარაკი განაგრძეს. ყველანი გაცხარებით ლაპარაკობდნენ. თითქმის არავინ დარჩენილა, ყველამ ერთი-ორი სიტყვა მაინც სთქვა. ამ სჯა-ბაასში, რასაკვირველია, ბევრ საყურადღებო მოსაზრებასთან, სასაცილოც ბევრი იყო. მთელი ჩემი არსებით გატაცებული ვიყავი ილიათი. ბედნიერათ ვსთვლიდი ჩემს თავს, რომ მის ახლოს ვიჯექი, რომ ვსტკბებოდი მისი ცქერით. თვალ-ყურს ვადევნებდი ყოველ მის მოძრაობას, მაგრამ მის დარბაისელ სახეზე ვერ შევამჩნიე ნატამალი ვერც აღტაცებისა და ვერც უსიამოვნება. ხალხის ყვირილი, აღშფოთება, ხან სიცილ-ხარხარი მასზე არ მოქმედებდა, მისი განიერი შუბლი არც იკუმშებოდა, არც იხსნებოდა - მხოლოდ გონ:ერი თვალები ისე უმზერდნენ მოლაპარაკეს, ვინც უნდა ყოფილიყო და რაც უნდა სისულელე ეთქვა,—რომ თითქო სულში და გულში უნდა ჩაუძვრეს და იქიდან ამოკრიფოს გულის ნადებიო. კარგა ხანს გაგრძელდა კრება. ილიას ხმა-კრინტი არ დაუძრავს. აჰა, გათავდა კრება. მოიღალა, მოიქანცა ხალხი. ვისაც რა ჰქონდა სათქმელი სთქვა. სიჩუმე ჩამოვარდა. წამოდგა თავმჯდომარე და მიმართა ილიას: ბატონო ილიავ, თქვენცა ბრძანეთ, გვირჩიეთ რამე, ხომ მოგეხსენებათ თქვენი სიტყვა ძვირათ გვიღირს.

— რა გითხრათ, რა გირჩიოთ,—უთხრა ჩვენმა დიდებულმა მამულიშვილმა,—გულის სისუსტე მაქვს და

ამისათვის ბევრი ლაპარაკი არ შემიძლიან. მხოლოდ გეტყვით, რომ ჯერ კანონიერათ მოიქეცით, სთხოვეთ არქიელს, მოადგილეს და,—აქ ტუჩებზე ღიმილმა გაურბინა,—თუ მაინც და მაინც ნება არ მოგცათ, :რა უშავსრა ერთი ორი მათრახი თქვენს ანაფორასაც მოჰხვდეს.

რამდენიმე დღის შემდეგ სემინარიის შენობაში ერთი-ორი კი არა ნაბუარი აადინეს მღვდლების ანაფორას.

ივ. ბუქურაული

# ალთქმის ქვეყანაში

(სამუსლიმანო საქ:რთველოს შემოერთების გამო)

**ნაფიქრი ბათომზე**

,,სხვა საქართველო სად არის, რომელი კუთხე ქვეყნისა!''

სწორედ ეს სიტყვები მომაგონდა, როცა ბათომს ვეწვიე და მისს მიდამოებს თვალი გადავავლე.. ბიბლიურ სამოთხეს რომ იტყვიან, ეს კუთხეა. და სწორედ სამოთხის ბედიც ეწვია ამ ტურფა მხარეს.

მოგეხსენებათ, სამოთხეში მცხოვრებ პირველ ადამიანთ ეშმაკი შეუჩნდა გველის სახით და სამოთხე დააკარგვინა.

ასევე ამ ჩვენს სამოთხეს—ჩვენის სამშობლოს კულტუროსნობისა და დიადობის აკვანს—სამასი წლის წინად ბოროტი სული ეახლა თურქთა სახით, დაიმონავა, სჯული შეუცვალა, გაგვიორგულა, და თუმცა გასული საუკუნის ბოლო მეოთხედში—1878 წ. რუს ოსმალოს ომის დროს ეს ედემის დარი კუთხე—აჭარა-ქობულეთი, შავშეთ-ერუშეთი ჩვენ შემოგვიერთდა, ახალი გველი-ეშმაკები, ჩვენი ძველი რუსი-ბატონები ქართველ მუსლიმანობას მუდამ ჩასძახოდენ: თქვენ თურქები ხართო... და ორი გათიშული ძმა ერთმანეთის შორეული სიყვარულით, ურთი-ერთისაკენ იდუმალი მისწრაფებით, ვიტანჯებოდით!..

ჩვენი დროის საზარელმა ომიანობამ ხომ მიწასთან გაასწორა ჩვენი ძმები—ქართველი მუსლიმანები...

გვეგონა რევოლიუცია მაინც აკმარებდა მათ ტანჯვა-ვაებას, მაგრამ ათასი მურდალი ხელი ჩაერია ჩვენს შორის და ეს უკანასკნელი ორი-სამი წელიწადი ჩვენი სულის დაულეველი გენია იყო... ვინ არ გინდა გვედავებოდა: შინაური თუ უცხო, მეზობელი თუ ცხრამთიელი. . და ბოლოს მაინც სამართლიანობამ გაიმარჯვა: ჩვენ ალთქმის ქვეყანაში შესვლას ველირსეთ, — მდინარემ ნაწყლური მოსძებნა, წყალი ნაგუბარში ჩადგა.

დიდთა სახელმწიფოთა საბოლოო გადაწყვეტილებით ბათომი და მისი ოლქი ჩვენ გადმოგვეცა, ე. ი. სამუსლიმანო საქართველო სრულიად საქართველოს—დედა-სამშობლოს შეუერთდა... ამითი ბოლო მოეღო ერთ უდიდეს საქვეყნო უსამართლობას!..

ეს შემ·ერთება, ჩვენი ჯარების სამუსლიმანო საქართველოში შესვლა, ბათომში ორ ძლიერ სახელმწიფოს—ინგლის-საფრანგეთის – მიერ თავისი დროშების ჩამოშვება და ჩვენი დროშის აფრიალება,—უდიდესი ისტორიული მოვლენაა, იშვიათი ამბავი, ჩვენი ხალხის და მთავრობის ბრწყინვალე გამარჯვება... ამიერიდან საქართველოს ზრდა-განვითარება ახალ საფეხურზე შესდგა.

რანაირად შევედით ბათომში, გზაზე რა ვნახეთ, ხალხი როგორ შეგვეგება?—ამაზე შემდეგ.

**იოსებ იმედაშვილი**

# ქუჩაში

შიოდა, სწყუროდა, გული სტკიოდა...
თავის ბედს ყოველ დღე მოსთქვამდა... სჩიოდა!..

დღე და ღამ ქუჩაში ლუკმისთვის ვიდოდა!..
გულმოკლულს, გულდამწვარს ცრემლები სდიოდა!..

და არვინ არ იყო გამკითხი, პატრონი!..
ობოლის ვედრების მიმხედი, გამგონი!..

და ერთ დღეს ქუჩაში, შიმშილის ბრძანებით,
მას სული ამოხდა ოხვრით და წამებით!..

მოკვდა და ვინ იცის, ვინ იყო, რა იყო,
და ნორჩმა ჭაბუკმა რა ნიჭი წაიღო...

და ქუჩას მწუხარეს ცრემლები სდიოდა...
ბიჭიკოს დაკარგვას მოსთქვამდა.. სჩიოდა!..

**დ. ჭანჭათელი**

# დედა-ბუნების ძირითადი კანონები

(დასასრული. იხ. „თ. და ც.“ № 25)

ეხლა ჩვენ რომ თავი მივანებოთ უსულოსა და სხვა სულიერ არსებათა არსებობას და პირდაპირ ადამიანზე გადავიდეთ, აქაც ჩვენ დავინახავთ იმავე ბუნების აუცილებელ ძირითად კანონთა მოქმედებასა და გავლენას, არა თუ ადამიანის ფიზიკურს არსებობაში, არამედ ფსიხიკურშიაც.

იგივე მილიონის წლებით დაგროვებულ-დამხადებული და მემკვიდრეობითი კანონის თანახმად შთამოებიდან შთამოებაზე გადმოცემული ფიზიკური და ფსიხიკური თვისებები, იგივე არსებობისათვის ბრძოლაში შეძენილი ბუნებრივის შერჩევის წესით თვისებები და მუდმივი მათი ცვალებადობა, განვითარება, ევოლიუცია შეკავშირებისა, გამრავლებისა და დიფერენციაციის გზით.

ამ თანდათანობითმა განვითარებამ და დიფერენციაციის აუცილებლობამ შექმნეს ის დღევანდელ ადამიანის გონიერება, სულიერისა და ზნეობრივი მისი მხარეების წარმატება და კულტურის პროცესი, რომელიც ამშვენებს და ადიადებს დედა-მიწის ისტორიის ფურცლებს.

ადამიანის ბუნების მთელს სიმდიდრეს წარმოადგენს მისი მსოფლიოსთან დამოკიდებულება-დაკავშირება. ჩვენი თვალი ჰხედავს არა თუ ყოველსავე მას, რაც უიარაღო თვალით შესამჩნევია, არამედ იმასაც კი, რაიც უბრალო თვალის დასანახავზე ათასჯერ და ხუთი ათასჯერ უმცირედესია, მიკროსკოპისა და ულტრამიკროსკოპის შემწეობით ჩვენი სმენა ისმენს ყველა იმ ხმათა გროვას, რომლის სასმენადაც სრულყოფილია ჩვენი სმენის ორგანო. ჩვენი ყნოსვა იღებს იმ შთაბეჭდილებებს, რომლის მისაღებადაც ის არის საკმაოდ განვითარებული. აგრეთვე გემოსი და შეხების ორგანოთა მდგომარეობაც. ყველა ამ შთაბეჭდილებებს ჩვენ ვიღებთ იოლად, ძალდაუტანებლად, მექანიკურად. ჩვენ დავდივართ, ვმოძრაობთ, ჩვენს აზრებს სიტყვიერად და წერილობით გამოვთქვამთ, ვწუხვართ, ვხარობთ, ვიმღერით, ვსტირით და სხვა და სხვა სრულიად ძალდაუტანებლივ, იოლად, შეუმჩევნელად იმ ფსიხიკურის პროცესისა, რომელიც ამ ყველა მოძრაობათა დროს განმავლობაში ჩვენის ტვინის უჯრედებში ხდება.

ხოლო როცა რამ თავსატეხი საკითხი წარმოგვიდგება თვალწინ, რომლის გადასაჭრელადაც საჭიროა ან სპეციალი ცოდნა, ან საზოგადოდ ფრიად განვითარებული ჭკუა-გონება, ჩვენ ჩაფიქრებითა და დიდის შრომით ვმოძრაობთ, ვაზროვნობთ და სხვასაკ კი მივმართავთ მოსაშველებლად. აქ ჩვენ ვამჩნევთ ჩვენის ტვინის უჯრედების მოძრაობასა და შრომას იქამდეც კი ხანდახან, ვიდრე თავი აგვტკივდება, თუნდა ამ უჯრედებთა მოძრაობა-მოქმედების პროცესი ჩვენთვის დღესაც გაუგებარია.

—როგორა ხდება ყოველივე ეს, რომ ზოგი მოძრაობა ჩვენთვის შეუმჩნეველია და ზოგიც კი თვალსაჩინო?— შემეკითხება მკითხველი.

—ისე, რომ ის შეუმჩნეველი, იოლად წარმოებულნი მოძრაობანი ხდება ჩვენში იმ შრომისა და ხანგრძლივი პროცესის meohებით, რომელნიც ჩვენმა წინაპრებმა, პროტისტებიდან დაწყებული ადამიანამდე, განიკადეს, მათი წარმოება მექანიკურად გაჰხადეს და მზამზარეულად გადმოგვცეს მემკვიდრეობის კანონის თანახმად. ხოლო ის მოძრაობანი, რომლებითაც ჩვენს წინაპრებს თავი არ შეუწუხებიათ და რომლის პროცესის შესრულება ჩვენ დაგვიყენა თვალწინ საჭიროებამა და გარემოებამ არსებობისათვის ბრძოლის დროს, ჩვენვე უნდა მოვახერხოთ და შევიგუოთ. ამიტომაც ეს უკანასკნელი შემთხვევა ჩვენთვის თვალსაჩინოც და ძნელიც არის. აქ იკაფება ახალი ბილიკი, რომელიც უნდა ფართო გზატკეცილად გადიქცეს მრავალ თაობათა შრომის მეოხებით მომავალ თაობათათვის საანდერძებლად ამას მოითხოვს აუცილებლობა იმდენად, რამდენადაც აუცილებელია თვით ევოლიუციის კანონი. ამავე კანონს ექვემდებარება ბოროტისა და კეთილის მცნებაც. რამოდენადაც ყოველივე, რაიც თანამედროვე კულტურული ადამიანის წარმოდგენით არის ბოროტი, აბრუნებს ადამიანის ბუნებას პირველყოფილ ფორმებისაკენ, იმოდენად კეთილი უახლოვებს მას თანამედროვე კულტურულს ადამიანს ბუნებრავის შერჩევის წესით.

რასაკვირველია, მორიელმა, გველმა, მგელმა, ფოცხვერმა, ვეფხვმა და მზგავსთა მათ არა უწყიან რა ღმობიერებისა, გულკეთილობისა და სიკეთისა არსებობისათვის ბრძოლის პროცესში-აგრეთვე ცოტა რამ წარმოდგენა აქვს კეთილსა და ბოროტზე პირველყოფილ ადამიანსაც. ხოლო კულტურულ კაცობრიობის წარმოდგენაში კეთილსა და ბოროტსაც შესაფერი დაფასება აქვს, რადგან კეთილი ბუნებრივის შერჩევის წესით განაკერძოვებს კულტურულს ადამიანს და თვის მზგავსთა შორის წარმატებასა და კეთილდღეობას ანიჭებს.

ონავარ ცხოველთა ცხოვრებას რო დაუკვირდეთ, თქვენ უთუოდ შეამჩნევთ, რომ მათის დასისხლიანებულის კბილების წინააღმდეგ ამხედრებულია ყოველივე იმ ცხოველთა გროვა, რომელთა მშვიდი და მყუდრო ცხოვრება სრულიადაც არ მოითხოვს სისხლსა და ძალმომრეობასა- ამიტომაც მგელი, ვეფხვი და გვარნი მათნი დღითი დღე კლებულობენ და ისპობიან. ბოროტმოქმედ ადამიანის წინააღმდეგადაც კულტურულს ქვეყნებში ამხედრებულია თვით კანონმდებლობა, რომელიც უთუოდ არის გამომ-

სახველი მოწინავე საზოგადოების შემეცნებისა და ნებისყოფისა.

მხოლოდ ბრიყვსა და შეუგნებელ კაცს არ ესმის კულტურულ ქვეყნებში ის ჭეშმარიტება, რომ ანგარება, ტყუილი, შურისძიება, ცილისწამება, გარყვნილობა, მექრთამეობა და ყოველგვარი პიროვნებისადმი ძალმომრეობა არა თუ სხვისის შეგნებითა და კანონის თვალსაზრისით არის ისეთი ბოროტება, რომელიც ხშირად დასჯილიცაა ხოლმე, არამედ არის ბოროტება თვით დამნაშავისათვის, რომელიც ასეთის თვისებებისათვის არავის არა თუ არ უყვარს, პირიქით სძულს კიდეც, ეზიზღება. ასეთი თვისებები არა თუ ხელსაყრელნი არ არიან, არამედ პირდაპირ დამღუპველნიც, რადგან მათ მქონეთ ყველა განზედ უდგება და სდევნის კიდეც. ასეთი ხალხი თვისივე ხელით იმოკლებს ცლეს და ითხრის სამარეს-ბოროტი ადამიანი უბრუნდება შორეულს წინაპარს. მას ვერ შეუგუებია თანამედროვე კულტურული ცხოვრების არსებობისათვის საუკეთესოდ გამოსადეგი იარაღი და ამიტომაც იგი აუცილებლად გარიყული რჩება და იღუპება კიდეც.

მაშასადამე, არა თუ მარტო ფიზიკურს, არამედ ფსიხიკურს ცხოვრებაშიაც ადამიანი განიცდის განუწყვეტელის ევოლიუციის პროცესს და მომავალ თაობათა მეტად საიმედო მეტად ნაყოფიერ და მეტად შეგნებული მდგომარეობა უნდა უზრუნველყოფილად ღ სანუგეშოდ ვიგულოთ.

ხოლო რადგან მოწინავე, კულტურით შემოსილთა რაზმის უპირატესობა მუდამ საგულისხმიერო და თვალსაჩინო იქნება, აუცილებლად საჭიროა ყოველი მოქალაქე დაადგეს კულტურის გზას და გაწვრთნას თვისი ჭკუა-გონება სწავლის შეძენითა და ზნეობრივობის განმტკიცებით. ცოდნა-განვითარება, კეთილშობილ გრძნობათა განმტკიცება. მოყვასისადმი სიყვარული, სამსახური და პატივისცემა; სამშობლოს სიყვარული და მისი კეთილდღეობისათვის თავის განწირვა, დაუზარებელი შრომა და უანგარო მოღვაწეობა, აი თანამედროვე შეგნებული ადამიანის არსებობისათვის ბრძოლის საუკეთესო და სანუგეშო იარაღი, რომლითაც უნდა შეიარაღებული იყოს ყოველი თვისი თავისა და ქვეყნის მოყვარული მამულიშვილი.

მთელის საქართველოს ხანგრძლივი ისტორიის სივრცეზე შუქურ ვარსკვლავივით ანათებს ერთი ძირითადი თვისება: ქართველი ხალხი მუდამ სასოებით ეტრფოდა კულტურულს ცხოვრებას, ზნეობრივობის დაცვას, მუდამ ლმობიერად ეპყრობოდა თვის მეზობელ ხალხებს და თუ არ მტრის მოსაგერებლად, სისხლში არასოდეს არ ისვრიდა თვის გმირულს მარჯვენას. მხოლოდ და მხოლოდ ამ გარემოებამ შეინახა ეს პატარა ხალხი მრავალ საუკუნეთა სივრცეზე და იგივე გარემოება უზრუნველჰყოფს მის სიცოცხლეს, კეთილდღეობას, თავისუფლებასა და დამოუკიდებლობას.

**ივანე ელიაშვილი**



# საქართველოს ღერბი და ეროვნული ჰიმნი

როდესაც ერი სახელმწიფოებრივ ფორმაში აყალიბებს თავის წესწყობილებას, იგი სთხზავს ღერბს და ჰიმნს, რომელიც ებლემაა, ერთგვარი გამოხატულებაა თავისი ერის მისწრაფების, ფსიხიკის და ბუნების. და, აი, როდესაც საქართველო განთავისუფლდა ტყვეობისაგან, მან ნიშნად თავის დამოუკიდებლობისა და ეროვნულ სახის აღდგენისა შექმნა სახელმწიფო ღერბი და ჰიმნი. ღერბის და ჰიმნის შინაარსი ერთი უნდა იყოს; თუ თეთრი გიორგი, რომლის სიმკვირცხლეს, მისწრაფებებს და დიად სულს უაღრესად მაღალ ბუნებაში გვისურათებს ხალხის თქმულება, ნიჭიერმა ხელოვანმა ფერად საღებავებით ყველა ეს თვისებები გონივრულად გამოხატა წითელ დროშაზე და უწოდა მას ქართული ღერბი, ქართველმა ერმა შეხედვისთანვე იცნო დროშაზე გამოხატული თავისი სული და აღიარა იგი ეროვნულ ღერბად.

როგორც ღერბი ისე ჰიმნიც, თუ იგი სიმების ქლერაში ხატავს ერის სულს, აუცილებლივ უნდა იქნეს ეროვნულ ჰიმნად აღიარებული, საუბედუროდ ქართული ჰიმნი, რომლის ავტორია კომპ. ფოცხვერაშვილია, ვერ აკმაყოფილებს ზემოხსენებულ თვისებებს და სამართლიანად არ მიიღო ეროვნულ ჰიმნად ქართველმა ხალხმა.

ქართველი ხალხის ცოცხალ, მრავალფეროვან ბუნებას შეშვენის უფრო ცოცხალი მკვირცხლი მუსიკალური ჰიმნი. ეს კი მოდუნებული უსიცოცხლო მუსიკალური შემოქმედებაა. თუ ავიღებთ ჩვენ ფრანგულ რევოლიუციონურ ჰიმნს ,,Вперед безъ страха и сомнѣнія''-ას და მოვისმენთ, დავრწმუნდებით; რომ მართლა საფრანგეთის ცოცხალ ბუნებას შეშვენის ასეთი ცოცხალი ჰიმნი, მეორე მაგალითი: მთაწმინდის ჰიმნია „Славенъ сильній, славенъ гордый". ესეც ცოცხალი ბუნების შვილთა მუსიკალური შემოქმედებაა; თუ ავიღებთ სლავიანებისას, ცკერძოთ სერბიელების ჰიმნს „Боже сильній Ты спасешь" პირდაპირ შეეფერება სერბიის ერთფეროვან ბუნებას, რადგანაც ჰიმნი ისე, როგორც ღერბი ერის სულის გამომ ხატველია. დიადი სიდინჯე და ცოდნაა საჭირო ჰიმნის დაკანონებაზე. ჰიმნის დაწერა არ თხოულობს მაინც და მაინც კომპოზიტორობას. იგი შეუძლია დასწეროს მშობლიურ ერთან დაახლოვებულ უბრალო მუსიკის მოყვარულმაც ამის მაგალითები ბევრია ცხოვრებაში და სრული დარწმუნებული იმაში, რომ მალე დაგვიწერს ვინმე უფრო უკეთესს, დღევანდელი ჰიმნი არ უნდა იქნეს მიღებული ეროვნულ ჰიმნად.

**ლადო გავაშელი**



# სამშობლოს უმანკო ზვარაკი



მიხეილ სოლომონის-ძე მაყაშვილი

ძველი საქართველო თავის მრავალ საუკუნოვან არსებობის ხანაში უამრ მტერთაგან მხოლოდ უმანკო ზვარაკთა სისხლით დაიხსნიდა ხოლმე თავს.

ასეა დღესაც. დღესაც განახლებული საქართველო, საკუთარ ფეხზე დამდგარი ერი მრავალი მტრითაა გარშემორტყმული და თუ იგი მაინც მხნედ და მამაცურად მიაფრიალებს თავის წმინდა დროშას—დროშას ეროვნულსა და საერთაშორისო ძმობა-ერთობისას,—ამის მიზეზია იმ უმანკო ზვარაკთა თავგამოდებულ ბრძოლაში სიკვდილი, რომლითაც ლამაზდება ჩვენი დროის ისტორიის კაბადონები.

ერთი მათგანია ზემორე გამოსახული ჭაბუკი მიხეილ სოლომონის-ძე მაყაშვილი.

მუშა-გლეხმა სანდრო მაისურაძემ თუ თავისი არწივებით, საკუთარი სიცოცხლის განწირვით სირცხვილისაგან დაიხსნა არა თუ მხოლოდ ეკატერინოფელდი, არამედ მასთან თბილისიც, თბილისთან ერთად საქართველო და ქართველი უკიდურესი გაინტერნაციონალისტებული მუშა-ხალხი ეროვნულ თვითგამოფხიზლებას აზიარა, სათუთ არისტოკრატმა მიხეილ მაყაშვილმა საკუთარივე ნორჩი სიცოცხლის განწირვით საფრთხისაგან დაიხსნა არა თუ მხოლოდ დედა-ქალაქი, არამედ იმ ხანებში კომუნისტურ-ბოლშევიკურ ჰანგზე განწყობილი ჩვენის საზოგადოების ერთი ნაწილი უცებ გამოაფხიზლა, მტერ-მოყვარე გააცნო და ამ წუთიდან ახალგაზრდა საქართველოს თვითმყოფობას უფრო მტკიცე საძირკველი ჩაეყარა.

ეს იყო ამა წლის მაისის 2 თბილისის სამხედრო სასწავლებელში. მოგეხსენებათ, ამა რიცხვში შუაღამისას ხსენებულ სასწავლებელში შეიპარა ჩვენის ქვეყნის მტერ კომუნისტ-ბოლშევიკთაგან მოსყიდული რამდენიმე გარეწარი, უმეტესად სომხები. ესენი იარაღით თავს დაადგნენ მძინარ, უიარაღო ახალგაზდებს—იუნკრებს და დასძახეს: მთელი თბილისი ბოლშევიკებმა ავიღეთ; მთავრობა ჩვენია, თქვენც უნდა დაგვმორჩილდეთ და ჩვენის მთავრობის წინაშე თქვენი მოვალეობა შეასრულოთო... მძინარმა ბავშვებმა თვალთ მოიფშვნიტეს, ერთი მიიხედ-მოიხედეს და მიუგეს: დიაღ, ჩვენც ჩვენს მოვალეობას შევასრულებთ, გაუმარჯოს საქართველოსო!—დასძახეს და უიარაღონი იარაღიანებს სკამ ლოგინებით ეტაკნენ... თავდამცემნი გაიქცნენ, მაგრამ საერთო სროლის დროს მოკლულ იქმნა იუნკერი მიხ. მაყაშვილი.

ამ მსხვერპლმა საფრთხისა და სირცხვილისაგან დაიხსნა დედა-ქალაქი, სამხედრო სასწავლებელი და ჩვენი მომავალი.

მიხ. მაყაშვილი სწორედ ისე მოიქცა, როგორც თავისუფალ საქართველოსა და მის სასახელო გვარიშვილობას შეეფერებოდა...

საქართველოს არ სჩვევია ლაჩარი შვილები...

არც მაყაშვილების გვარის სილაჩრე და მამულის ორგულება გვსმენია.

ერთის კვირის წინად მამა გარდაეცვალა, სწორედ იმავე დღეებში, როცა მ. მაყაშვილი ჯერ დაკრძალული არ იყო, წითელ ხიდთან მოუკლეს ბიძაშვილი (მათივე გვარის იყო ცნობილი მამულიშვილი-გენერალი ბალო მაყაშვილი)...

მაგრამ ასეთ გმირულ სიკვდილზე კიდევ უფრო ლამაზი იყო მ. მაყაშვილის მშობელი დედის დატირება. სამხედრო ტაძარში, სადაც დაესწრენ მთავრობის, დამფუძნებელი კრების წევრები და აუარებელი ხალხი, ჭაღარა მოსილმა ერთის კვირის ქვრივმა, მ. მაყაშვილის დედამ გასძახა იქვე კუბოსთან მდგარ მეორე ერთად ერთ შვილს, მოკლულის ძმას:

— ნუ იწუხებ შვილო! შენი ძმა—ჩვენს სამშობლო საქართველოს შეეწირა... ის მკვდარი არ არის. იხაროს სამშობლომ: შვილი ჩემი მისთვის გავზარდეო...

ოჰ, რა ლამაზად ითქვა ეს სიტყვები და რაოდენი ქვა გული მოალბო!

ჭეშმარიტად: არა თუ სამშობლოს ასეთი უმანკო ზვარაკნი არ კვდებიან, არა კვდებიან მსგავსივე დედანი როგორიც იუნკერი მ. მაყაშვილის დედაა! სამშობლო ჩვენი მათით ხარობს და, დაე, ნურც მათ მოაკლდებათ ნუგეში სამშობლოს ბედნიერებით!..

**იოსებ არიმათიელი**




**კომპ. კ ფოცხვერაშვილი**

შარჟი ელი ახვლედიანისა

# ფოთის დრამატიული წრე

(გადაღებული 1920 წ. თებერვლის 24 ,,თ. დ ც.'' რედაქ. იოსებ იმედაშვილის თანადასწრებით)



შუაზე რედაქტორი ი. იმედაშვილი, მის ირგვლივ სხედან მარჯვნივ ნუცა ნორაკიძე, ვერა მოისწრაფეიშვილი, მარცხნივ—თამარა ჯიჯიეიშვილი, მსახიობქალი თინა ჩაოკვიანი, დაბლა მარჯვნივ მსახიობი ს. ხარაზიშვილი, მარცხნივ მსახ. ნ. გვარაძე, წამოწოლილნი: ვანო ვანელი, ირაკ. შოთაძე, სერგო პაიჭაძე, ლადო ჩხაიძე; სდგანან მარჯვნიდან: აქ. ხელიძე, შალ. გამყრელიძე, მსახ. კირ. მაჭარაძე, შალ. ბეჟუაშვილი და შალ. ჯიჯიეიშვილი.

## Dixi et animam levavi...

...და ზღაპარივით ესეც დამთავრდა,
ვით ფანჯარაზე მქლე ნაორთქლარი,
რაზედაც ფიქრი გამიყავარდა,
ფიქრი სიცოცხლის მქლე ნაორთქლარი.
მარადისობის და უკვდავების
კითხვებმა მთებში შემოიღამა.
არ მიყვარს ბედი წყევლილ იობის, —
ლოდინმა გული მთლად ამოჭამა...
მინდა დაგწყევლო!—გითხრა უვარი,
ქარს ვალეწვინო ეგ შენი თმები.
მეფისტოფელზე დაგწერო ჯვარი
და დაგიწერო შავი რითმები...
დავკაწრო სახე ეგ უფერული,—
ერთ დროს ვიყავი მისი ფარეში,
რომ ჩემი პუდრი და უმარული
არ ჩაგაყოლო შავ სამარეში...
მაშ ამ სოფლიდან გასწი, მერანო,
გადამატარე სულის კირთები,
არ შედრკე, ჩემო გიჟო, ვერანო
მთების გადაღმით მე მოვირთვები.
მე მიყვარს ძებნა მარადისობის,—
შორით, შორს რბენა მგოსნის ხვედრია;
მინახავს ღამე შავ მაისობის
და არავისთვის დამიყვედრია.
და თუ ძალლმაცა ერთი დათვალოს,
მას თან მოყვება ასი, ათასი;
მწამს სხვამაც ტრფობა შემოგითვალოს
და მეც აგრე სხვებს, ჩემო ძვირფასო...
... ამაყად და მხნედ, სულო ვერანო,
ნუ დაგაკვნესებს მონის კირთები...
მაშ ამ სოფლიდან გასწი, მერანო,
მთების გადაღმით მე მოვირთვები!..

**კოკი ებრალიძე**

## ჩ ვ ე ნ ე ბ ი

(გაგრძელება. იხ. „თ. და ც.“ № 25)

**რიმსიმე** კარებში.

**რიმ**. იაგორ მიტროფანიჩ, შეიძლება?

**იაგ**. შეიძლება, შეიძლება! (ყველანი ადგებიან. რიმსიმეს შემოჰყავს ტასო; —ჩაცმულია მდიდრულად, მაგრამ უგემურად და ჭრელად. ძალზე წასმული სახე. იგრიხება, იბნევა, ხელის ჩამორთმევის დროს უშნო რევერანსი).

**რიმ**. აჰა, ესეც საპატარძლო!

**სოსო**. (ხელს ართმევს და თაიგულს გადასცემს. ტასო რაკი ყველას ხელს ჩამოართმევს, დაიბნევა, არ იცის საით წავიდეს და დედას უმწეოდ მისჩერებია. რიმსიმე ხელს მოჰკიდებს, დივანზე დასვამს და გვერდით მიუჯდება. უხერხული დუმილი. ანეტა გულნატკენად მისჩერებია, არც რეზოა კმაყოფილი. სოსო დარცხვენილია. ტასო თავჩაღუნულია, რიმსიმე უაზროდ იღიმება და ცმუკავს. იაგორა კრიალოსანს ათამაშებს ისე, რომ მხოლოდ მისი ჩხარუნი არღვევს სიჩუმეს).

**რიმ**. ქა, რა სულელი ვარ! პატარძალს გვერდით მე თითონ მივუჯექ და სიძე კი ამ სიშორეზე ზის... აქეთ მობრძანდი გენაცვალე, აქ დაჯექ!

**სოსო**. აქაც არა მიშავსრა, ბ-ნო!

**რიმ**. არა გიშავს რომელია. ქა! ნეფე დედოფლის გვერდით უნდა იჯდეს. (ხელს მოჰკიდებს, მიიყვანს და ისე ძლიერ დაანარცხებს, ასე ჰგონია მდივანს მავთულები დააწყდაო) ასე ერთად გამყოფოთ დედაშვილობის გამჩენმა ას წელიწადს!.. იჭიკჭიკეთ შვილებო!.. მე აგერ ჩემ ბებერ იაგორას მივუჯდები.

**სოსო**. (პაუზა) რატომ ეგრე მორთულხართ?

**ტასო**. როგორ?..

**სოსო**. ეგრე... მდიდრულად.

**ტასო**. დედამ მითხრა — ეგრე ჩაიცვიო.

**სოსო**. რა საჭიროა ამდენი წითელი ლენტები?.. სადათ უნდა ჩაიცვათ ხოლმე... უფრო დაგშვენდებათ.

**ტასო.** დედამ მითხრა...

**სოსო.** თქვენ ყველაფერს უჯერით ხოლმე დედას?

**ტასო.** მაშ როგორ იქნება?

**სოსო.** კვლავ მე უნდა დამიჯეროთ ხოლმე... ხომ ავრე იქნება?

**ტასო.** რაკი ცოლი ვიქნები... კიდეც უნდა დაგიჯეროთ.

**სოსო** ხომ გსურთ ჩემი ცოლობა? მითხარით, ნუ გერიდებათ... დღეს უკანასკნელი დღეა... კარგად დაფიქრდით... იქნებ არ გსურთ და დედა ძალას გატანს...

**ტასო.** დედასაც ძალიან გულით სურს...

**სოსო.** თქვენა?

**ტასო.** მეც... მაგრამ...

**სოსო.** რა მაგრამ?

**ტასო.** მე მინდა მუდამ თქვენთან ვიყო, რუსეთშიაც...

**სოსო.** რა თქმა უნდა—სულ ჩემთან იქნებით... რუსეთშიაც... იქ ორივენი სწავლას შევუდგებით... მე გასწავლით... მერე კურსებზე მიგაღებინებთ...

**ტასო.** ვაიმე—არა!.. კურსებზე არ მინდა!..

**სოსო.** რატომ?.. ავრე რათ შეშინდით?

**ტასო.** ასე ამბობენ—კურსისტკები და სტუდენტები...

**სოსო.** ეგ ტყუილია! არ დაიჯეროთ!.. ისინი მხოლოდ კარგი ამხანაგები და მეგობრები არიან... ერთად მეცადინეობენ და სწავლობენ...

**რიმ.** თქვენისთანა განათლებულ ხალხში შვილი მეყოლება, ქა, რაღა მიჭირს?! იმასაც გამინათლებთ... განათლებული არი, ენაცვალოს დედა... ორი კლასი ჩასტნი ღემნაზია გამითავებია.. მაგრამ რაკი სიძე სტუდენტი მყავს, მე მინდა ქალიც კურსისტკა მყავდეს... მე შენ გითხრა, ქმრის დამჯერე და მონა მორჩილი არ იქნება... რომ უთხრას—მტკვარი აღმა მიდის--ეგეც დაუჯერებს... მთელი დღე გუგულივით ზის...

**იაგ.** ოჩინ უმნი ქენა ბუდით!

**რიმ.** თუ ღმერთი შვილიშვილს მაღირსებს თქვენ მოგანათვლინებთ.

**ანეტა**
**რეზო** | გმადლობთ!

**იაგ.** აბა, ნიშანი და...

**რიმ.** ჰო, გენაცვალე, რაღაზედ ვიგვიანებთ?

**სოსო** (ადგება).

**რიმ.** ქალი ეს არის, გენაცვალე! ქრთამი და ხორაგი, რაც დაგპირდი შევისრულებ..

**სოსო.** (ანეტასთან მივა) ბეჭედი მგონი შენა გაქვს?

**რიმ.** (ტასოსთან მიდის, უსწორებს და რაღაცას ეჩურჩულება. ტასო ბოზობს, მაგრამ ცდილობს სიბრაზე დაფაროს).

**ანეტა.** მაშ ეგრე?!..

**სოსო.** (უიმედოთ ხელს ჩაიქნევს) ეჰ, გვიანღაა!.. მოიტა ბეჭედი!

**რეზო.** აბა, ნეფე-დედოფალი—ერთად! (მოიყვანს და ერთად დასვამს). როგორც შაფერი—მე უნდა დაგნიშნოთ! (ბეჭდებს გაუკეთებს, სოსოს ჰკოცნის, ტასოს ხელს ართმევს) მომილოცავს! ღმერთმა გაგაბედნიეროთ! აბა, მოდით, მიულოცეთ!

**რიმ.** (ცრემლებს იწმენდს) ღმერთმა გაკურთხოთ, შვილებო, როგორც აბრამ და სარა! ათას წელიწადს გაცოცხლოთ!.. შენი 500 ვაჟი მენახოს და 300 ქალი! (ჰკოცნის).

**ანეტა.** მომილოცავს!

**იაგ.** პოზდრავლიაემ ობვენჩანიემ!

**რეზო.** კაკ მოჟნა! ეს ობრუჩენიეა!

**იაგ.** ჟალაიმ მრავალჟამიერ ჟიტ... მნოღო დენღი... უჩონი... 24 სინ და 12 ჟენსკი რებიონოკ...

**რეზო.** იაგორ მატროფანიჩ—ჟენსკი რებიონოკ კი არა—დევოჩკა...

**რიმ.** კარგია ერთი, ნუ უპირდები შე გიჟო. (მუცელში ხელს წაჰკრავს).

**იაგ.** ვი სამსემ ნუ უმნი!

**რიმ.** ნეტა ი ჩემი ავარა ვაჟი სად არის აქამდის?

**რეზო.** ვაჟიცა გყავთ?

**რიმ.** ქაა!.. ვაჟი მყავს, რა... რა... ანტიკ!.. უბნის თვალია!.. ლამაზი, მოქეიფე, დარდიმანდი... ცენაზე თამაშობს...

**იაგ.** რიმსიმე, ახლა არ დავლოცოთ ნეფე-პატარძალი?

**რიმ.** ქა, დამიდგეს თვალები!.. ბიჭო, დიანოსა! მოიტა ღვინო, ზაკუსკა, მანდ ფოდნოსზეა გაწყობილი... ჩემ თვალებს, მთელი ბაზარი შემოვარბენიე და შაფანცქი ვერ ვიშოვნე. თქვენისთანა განათლებულ ხალხსა ღვინო როგორ უნდა გკადროთ, მაგრამ ყველი და პური—კეთილი გული.

**გიგოს ხმა** „დედიჯან, ეფუ"!..

**რიმ.** აი, ჩემი გიჟიც მოვიდა!.. ოა კარგ დროს!.. (კარს გაუღებს) სად ჯანაბაში დაეხეტები! სახლში ქორწილი გაქვს და შენ-კი დუქან-დუქან ითრევი!..

**გიგო.** (შემოდის) ვაა, მართლა, დღეს ნიშნობაა!.. აკი სულ არ დამავიწყდა!.. ვაა! ჩემი სიყმე მოკვდეს, ჩემი!.. მერე მორჩით?

**რიმ.** მოვრჩით, მაშ!.. მოდი რაღა მიულოცე!..

**გიგო** (ხელგაშლილი მიდის) სიძე ჯან!.. გენაცვალე პუჭვიცა-პეტლიცებში!.. (ჰკოცნის) დაიკო ჯან, შენი თავი იყოს თოროზას გუდაში!

**რეზო.** Оригинальное поздравленіе.

**გიგო** ჰა, ჩაურუსულეთ? მე რეჩი-მეჩი არ ვიცი! ჩემი მილოცვაც ეგ არის!.. კაკ-მოჟნა სად არის?.. მოდი ერთი გემთხვიო მაგ მირონში!.. (ჰკოცნის) სულ შენი მადლობელი უნდა ვიყო, აი!.. კაცო, ოჯახში სტუდენტი სიძე შემომიყვანე—განა შენს ამაგს ჩემს დღეში დავივიწყებ! კაკ-მოჟნა—ჯან-გენაცვალე რუსულში!..

**იაგორა.** მე, სობსტვენო ღოვორია... ღარიბი კაცი ვარ...

**გიგო.** (გულზე ხელსა ჰკრავს) ჰაი, კარგი რაღა!.. ზაჰლა ნუ წაიღე!.. მოგაქცევებთ შენს საშუამავლოს!..

**რიმ.** ბიჭო, ეხლა ეს პატიოსანი ხალხიც გაიცანი და!..

**გიგო.** (ორივეს ხელს ართმევს) მე ამ ოჯახის შვილი ვარ, რაღა! დედიჯან, ეფუ!!..

**რიმ.** კარგია, ბიჭო, რა გაღრიალებს?

**გიგო.** დამაცა, დედი, ფართი-ფურთის გუნებაზედა ვარ!.. სიძე-ჯან! გენაცვალე დეპლომში!.. არ დამცინო, აი!.. მთვრალი ვარ! სამი დღეა ვქეიფობ!.. ერთი ჩემი ძმა ბიჭი დაქორწილდა!.. მიკიტანია რაღა! დღეს აქ უნდა ვყოფილიყავი, მაგრამ ამხანაგებმა აღარ გამომიშვეს... პახმელია ვიყავით... სტუდენტები მიყვარს... კარგი ხალხია... თავდაბალი... უმნი ნაროდ... ბევრი დავიდარაბის თავი არა მაქვს!.. დღეს მე და შენ ვქეიფობთ!.. დედი, მაიტა დასალევი!

**რიმ.** აი, სულიც დალევია დიანოსას!.. (გასძახებს) ბიჭო, მოიტა ჩქარა!

**დიან.** (ლანგარზე დაწყობილი ღვინო, ჭიქები და თხილი)

**რიმ.** შე გასაციებელო, ჭუჭყიანი ბლუზითა და ფართუკით რომ შემოდიხარ, სუფთად ვერ ჩაიცვამდი?

**დიან.** შამიკერე და ჩავიცვამ, ვაა!

**რიმ.** (ტუჩებზე ხელს მიაფარებს) ხმა ჩაიწყვიტე შე არ დასაცალებელო! აბა, სიძე ჯან გენაცვალე, პირველი შენი რიგია — მიირთვი!

**სოსო.** (მიდის, ჭიქა უნდა აიღოს, ამ დროს გიგო მიტრიალდება და ღვინოს დაინახავს).

**გიგო.** შაფანცქს ვერ მოიტანდი? ეს რა არის? (დაჰკრავს ლანგარს ხელს, ყველაფერი ძირს სცვივა და იმსხვრევა. ანეტა შეჰკივლებს, სოსოს ჭიქა გაუვარდება. ყველანი წამოცვივიან).

**რეზო.** (ანეტას ამშვიდებს) არაფერია, არაფერი!!

**გიგო.** (სათითაოდ ყველას გადახედავს) ჰმ, რაო, არ მოგწონვართ? ჩვენ ბევრი ცერემონიები არ ვიცით — რაცა ვართ — ესა ვართ! (გადის).

**ფ ა რ დ ა**

**მეორე მოქმედება.**

იგივე ოთახი, უფრო ლაზათიანად მორთული. სამწერლო მაგიდა, წიგნების განჯინები, ბევრი წიგნები და გაზეთები.

შემოდიან **სოსო** და **რეზო**.

**სოსო.** არა, რეზო, არ შემიძლია!.. ჯერ საზოგადოება არც-კი მიცნობს რიგიანად... ვიკისრო ასეთი საპატიო მოვალეობა!!..

**რეზო.** თუ არ გაეცნობი, ისე ვერ გაიცნობ... საჭიროა გაერო საზოგადოებაში.

**სოსო.** მაინც ამ თანამდებობით არ შემიძლია გამოვიდე საზოგადო ასპარეზზე... მეტად რთული და პასუხ-საგები მოვალეობაა.

**რეზო.** რამ შეგაშინა ეგრე?

**სოსო.** კაცო შენ ეხუმრები იმ საზოგადოების თავმჯდომარეობას? სანამ იქაური დახშული ატმოსფერა არ გასუფთავდება იქ მუშაობა შეუძლებელია. სწორედ ეს იყო მიზეზი, რომ გუშინ დეპუტაციას უარი უთხარი.

**რეზო.** ძალიან დააშავე, რომ დეპუტაციას უარი უთხარი და ჩვენც იმიტომ გასახელებთ, რომ გასწმინდო ეს დახშული ატმოსფერა.

**სოსო.** რომ ვერ შევძლო?

**რეზო.** ცდა ბედის მონახევრეაო.

**სოსო.** პირველი დამარცხება სამუდამოდ ჩამამაშორებს საზოგადო საქმეებს.

**რეზო.** არ მესმის რად უნდა დამარცხდე?! ჩვენი პარტია — შენც იცი, საკმაოდ ძლიერია. გამგეობაში, ყველა იმათ გავიყვანთ, ვინც შენ გინდა... თავმჯდომარედ ერთხმად გასახელებენ. . სხვა რაღა გინდა?

**სოსო.** რეზო, დამეთანხმე, რომ...

**რეზო.** გეთანხმები, რომ ეხლა უარი შეუძლებელია... შეიძლება ამით ჩვენი ჯგუფი გავარისხოთ და შენი ჯიუტობით ბრძოლაც წავაგოთ...

**სოსო.** მერწმუნე — ჯიუტობით არ მომდის, არამედ — სიფრთხილით... ამას ჯგუფიც მიმიხვდება.

**რეზო.** მე ვატყობ, შენთან ვერაფერს გავხდები... წავალ და ანეტას გამოგიგზავნი .. შენ იცი და იმან!

**სოსო.** სულ ერთია — არ დავთანხმდები... რედაქციისაკენ გაივლი?

**რეზო.** უნდა შევიარო... ვაცნობო შენი გაჭირობა.

**სოსო.** მაშ ეს გადაეცი. (ხელნაწერს აძლევს).

**რეზო** ახალია?

**სოსო.** ჰო... პატარა რაღაც...

**რეზო** მაშ ეგრე... ანეტას გამოგიგზავნი... იერიშით!..

**სოსო** მოვიგერიებ!..

**რეზო.** შენ იცი!.. (სიცილით გადის).

**სოსო.** (მაგიდას მიუჯდება და მუშაობას იწყებს. მერე თავის ნაწერს ათვალიერებს, კითხულობს)... „პოეტის ნაზი სული უმეგობროდ ცხოვრებაში განიცდის საშინელს ტრაღედიას.. იგი ტლუა, ცხოვრებაში საერთო მეჯლისიდან უდაბნოში კენტად გარიყული. . იგი ამ უდაბნოში სდგას და ეძახის... უხმობს თავის ნახევარს, სულის ტოლს... ყვირის, გმინავს, მაგრამ არსაიდან პასუხი, არც გამოძახილი"... (სწერს).

**რიმსიმე.**

**რიმ.** იქ... გიგოსა და იაგორს მოლაპარაკება უნდათ. . საქმე აქვთ...

**სოსო.** არა მცალია!

**რიმ.** (ჩაილაპარაკებს) ჩვენთვის, აბა, როდის გეცალო?!.. (გადის).

**სოსო.** „ჩვეულებრივი მომაკვდავის სული მოქრუნჩხულა ადამიანთა მიერ შექმნილ კანონების ნაჭუჭში... ბუნებასთან მას არაფერი აქვს საერთო... მოკლებულია მის სიმშვენიერეს, ვერა ხედავს ბუნების სილაღეს .. და ეს ღვიძლიშვილი ბუნებისა, მისი მკერდიდან ამონაგლეჯი ნაწილი ადამიანი, კვდება ისე, — როც ერთხელ არ ძოსწოვს მშობლის ძუძუს... საბრალონი"!.. (სწერს).

**ტ ა ს ო**

**ტასო.** ყმაწვილო, ეგ სადაური ზრდილობაა? ჩვენ შენთან საქმე გვაქვს და იძახი — არა მცალიაო!

**სოსო.** ხომ ხედავ - არა მცალია?!

**ტასო** რას აკეთებ? სწერ?! დიდი რამ მომხდარა!.. სხვა დროს დასწერე-რა?

**სოსო.** თქვენი საქმე გადასდეთ სხვა დროისთვის...

**ტასო.** არ შეიძლება!.. საჩქაროა! შენ რომ ჩვენ ოჯახურ საქმეში არასოდეს არ ჩაერევი!.. არ გეკადრება!.. ჩვენ დაბალი ხალხი ვართ — გაუნათლებელი!..

**სოსო.** (გაბრაზებული, მაგრამ თავშეკავებით კალამს დააგდებს; მობრძანდით!.. რა გნებავთ?!..

**ტასო.** ჩვენ არაფერი არა გვნებავს!.. ეგ საქმე შენც შეგეხება...

**სოსო.** კარგია, მოვიდნენ... გავათაოთ!

**ტასო.** სხვებისათვის კი მოიცლი ხოლმე და... (გადის).

**სოსო.** (აღელვებული ოთახში დადის).

**რიმსიმე, იაგორა, გიგო, ტასო.** (დასხდებიან. დუმილი).

**ტასო.** დედა, დაიწყე რაღა!

**რიმ.** იაგორ მიტროფანიჩ, შენ დაიწყე... შენ უფრო კარგად დაულაგებ!

**იაგ.** კაკ მოჟნა!.. შენ ჩემზე კარგად იცი საქმის ვითარება.

**რიმ.** ვითარება ვიცი, მაგრამ შენსავით ვერ დავალაგებ.

**გიგო.** (პაუზა. დაიყვირებს) დაიწყეთ — რაღა! თქვენი სისილა კი გაწყდეს! (ყველანი შეკრთებიან).

**რიმ.** აი, ჩავიწყდეს ეგ ხმა!.. რა ღრიალებს?

**გიგო.** მა რა გააჭირეთ საქმე?.. „დაიწყე, დაიწყე“... სთქვი რაღა?!

**რიმ.** ჰო, კარგი ვიტყვი!.. აი, შვილო, რაშია საქმე: განსვენებულს შენს სიმამრს ერთი ამხანაგი ჰყავდა ვაჭრობაში.. ერთმანეთი ძალიან უყვარდათ... ისე უყვარდათ, რომ ტასოც იმას მოანათვლინა... ბოლოს ქონება გაიყვეს... ის ცალკე გავიდა და დაიწყო ვაჭრობა... გავიდა მაგრამ სულგანათლებულმა ჩემს ქმარს ასე უთხრა: „ისაკ-ჯან, მე რაკი ღმერთმა შვილი არ მომცა და შენი ტასიკოც ჩემს ხელზე მომინათლავსო — სულ ერთია მაინც შვილიაო... ამიტომაო, როცა მე მოვკვდები, მთელი ჩემი ქონება მისი იყოსო... ამ სიტყვებით — ტასოზე არ გავშავდე! იმას სამი კანონიერი ცოლი ჰყავდა, მაგრამ ყველა უშვილო გამოადგა. როცა მეოთხე შეირთო...

**იაგ.** სობსტვენო ღოვორია, მეოთხე ცოლის შერთვას კანონი არ მისცემდა.

**რიმ.** ჰო, კარგი ეხლა, იაგორ მიტროფანიჩ - შეირთო მეთქი ვთქვი... მაშ საყვარლად დაუჯდა-მეთქი როგორა ვსთქვა ამ ხნის დედაკაცმა?! ისაყ-ოლდეს საიქიოს! მთელ უბნის ქალებს თავი მოგვჭრა შვილებს გეფიცები მთელ თვეს ქალები ქუჩაში არ გამოვსულვართ სირცხვილით... როცა ბაზარში წავ დოდით, თათრის ქალივით ჩადრს ვიფარებდით!..

**გიგო.** შენ საქმე სთქვი, საქმე!.

**რიმ.** დამაცადე, ქა, ვლაპარაკობ, ვა!..

**ტასო.** ნუ ეჩრები ხოლმე საცა შენი საქმე არ არის!

**გიგო.** რატომაკ არ არის ჩემი საქმე?

**ტასო.** იმიტომ, რომ აქ შენზე უფროსები არიან.

**გიგო.** მერე რა, რომ არიან? მეც ამ ოჯახის შვილი ვარ თუ არა?

**ტასო.** ჰო, ხარ, ხარ!.. შვილებში გამოგწყვიტოს ღმერთმა!

**გიგო.** ხმა ჩაიწყვიტე, თორემა!

**რიმ.** დაიცადეთ, ქა, მალაპარაკეთ!

**იაგ.** დააცადეთ, კაკ მოჟნა!..

**რიმ.** ჰო და იმ საყვარელმა ერთი ნაბიჭვარი გოგოც დაუსვა... ის გოგო ერთ პაჟარნ მემწვანილეს მიათხოვეს... ის კაციც მოკვდა... ეხლა არც ხასამ და არც ქალმა არ იციან, თუ ჩვენ აქა ვართ...

**სოსო** მერე რა, რომ აქა ვართ?

**ტასო.** ისა, რომ კარგი ქონება დარჩა... ვერცხლი, აბრეშუმი, ხალიჩები...

**რიმ.** მაშა, შვილო, ხალიჩებია, — ნასტაიაჩი პერსიცკი, რომ ამ ოთახს აღმა-დაღმა სულ მოფენამს.

**სოსო.** (გაკვირვებული) მერე რა, რომ დარჩა

**გიგო.** ისა, რომ ქონება ჩვენია!

**სოსო.** ანდერძი არის?

**რიმ.** ანდერძი რა საჭიროა, შვილო?! იმისი სიტყვა ათ ანდერძსა სჯობია... ისეთი პატიოსანი კაცი იყო... აი, იაგორ მიტროფანიჩიც კარგად იცნობდა.

**იაგ.** კაკ მოჟნა!.. რამდენჯერ უთამასუქოთ დენლი ზანიმატ-ადავაიტ!.. პირიანი კაცი იყო...

**სოსო.** მერე თქვენ რა გინდათ?

**ტასო** უნდა ვუჩივლოთ და ქონება ჩამოვართვათ.

**სოსო.** რა საბუთის ძალით?

**რიმ.** სიტყვა, შვილო, პატიოსანი სიტყვა!.,

**სოსო.** შენც გაიგონე ეგ „სიტყვა?“

**იაგ** არ გამიგონია, მარა...

**გიგო.** (შეუყვირებს) მა რას მიჭქ რავდი, მეც გიმოწმებთო?!

**იაგ.** ჰო, მაინც გიმოწმებთ.. კაკ მოჟნა!..

**სოსო.** მერე ჩემგან რა გნებავთ?

**ტასო** როგორ თუ რა გვნებავს?

**რიმ.** შვილო, ნახევარი იმ ქონებისა ხომ შენიც არის?! ნასწავლი კაცი ხარ, აიღე და აწარმოვე... შენც ისარგებლე და ჩვენც დოვლათს ნუ დაგვიკარგავ!

**სოსო.** არც ზნეობრივი, არც იურიდიული უფლება არა გვაქვს სხვებს ქონება წავართვათ.

**გიგო.** ძმაო, რა დროს ზნეობაზე ლაპარაკია, როცა შიმშილით კუჭი გიხმება?

**სოსო** მე ამ საქმეში არ გავერევი.

**გიგო.** კაცო, არ გაერევი რომელია? მამიჩემის ქონებას რომ ხეთქავ, მაშ არაფერი არ უნდა გააკეთო?

**ტასო.** შენ ხმა ჩაიწყვიტე!

**გიგო.** რათაო?!

**ტასო.** ჩემს ქმარს შენი დასაყვედრი არაფერი უჭირს!

**გიგო.** ჰო, უკაცრავად, კნეინავ! მინავათ, პროსტიტე პოჟალუსტა! . ხუთი წელიწადი რუსეთში ვარჩინე!.. მეგონა სწავლას გაათავებს — კაცი გამოვა მეთქი.. ერთი წელიწადია ის ვერანა უნივერსტეტი გაათავა — ერთი გროში შემოუტანია?!.. (იაგორას მუშტს მოუღერებს) უჰ, შენი კაკ მოჟნა კი დაიქცეს!..

**იაგ.** ვა, ჩემი რა ბრალია?

**გიგო.** მომიყვანე რაღა დოვლათი!

**იაგ.** მაშინ ძალიან გიხაროდა?

**გიგო.** მეგონა ქრისტიანი ადამიანია მეთქი! . ეს მუქთა მჭამელი რას ჩამომიყენე ოჯახში?

**სოსო.** გიგოჯან, დაიჯერე ეს საქმე არ მოიგება!

**გიგო.** კაცო, რატომ არ მოიგება, როცა ეგ ნეპრემენი საქძეა?

**იაგ.** სობსტვენო ღოვორია, უღოლოვნი სუდებნი პოლოჟენიის სტატიის მე-200 მუხლი ამბობს — მოიგებაო.

**სოსო.** მაშ შენ თითონ აწარმოვე.

**რიმ.** ქა, მაგან რათ უნდა აწარმოვოს, როცა ნასწავლი სიძე სახლში მყევხარ!

**სოსო.** მე სხვა საქმეები მაქვს.

**ტასო.** უნდა სწერო რაღა?! ოი, საწერელი გაუხმდეს თითებზე, ვინც ეგ წესა მოიგონა!

**გიგო.** ეეჰ, გაუშვი კაცო! რისი დარდი აქვს? ცოლის მზითევი აიღო, სწავლა მიიღო, დაჯდა და სჭამს ალხეინად!.. აფსუს მამიჩემის მონაგარო!

**რიმ.** მაშ რა ვქნათ, შვილო?

**სოსო.** რაც გნებავდეთ! მე ამ საქმეში არ გავერევი...

**რიმ.** იაგორ მიტროფანიჩ, მაშ შენ აიღე..

**იაგ.** კაკ მოჟნა! მე ღარიბი კაცი ვარ და ტყვილა შრომა...

**ტასო.** მოგართმევთ, ქა!..

**გიგო.** მაგას წინ რაღა უდგა!..

**რიმ.** შენი ამაგი როდის წაგვირთმევია... მაშ მობრძანდი — მოვილაპარაკოთ.

**სოსო.** (წამოვარდება) თუ თქვენ ეგ ჩაგიდენიათ, მე წავალ ამ სახლიდან.

**გიგო.** ოჰოჰო!.. კალთები აიკეცე — არ დაგაგლიჯო... ოთხივ კუთხივ გზა დამილოცნია!

**ტასო.** ჰაი, თუ გაგეხარდება, რომ აქედან წავიდეთ!... თვალსაც მოგთხრი — ფეხსაც არ მოვიცვლი... თუ წავედი, ყველაფერს ასე შუაზე გაგიყოფ!

**გიგო**. ოღონდ მომშორდი დედავ და თვალო და ორი წილი შენს თვალებში იყოს!..

**ტასო**. კინტო, კინტო!.. ლოთო, პაჟარნო!. (გავარდება).

**გიგო**. ჰო, კნეინავ!.. პროფესორის მეუღლევ!.. აი ოხრად, ოხრად! (გაჰყვება).

**რიმ**. აი, იაგორ მიტროფანიჩ, რა დღეში ვარ!.. შენ-კი მპირდებოდი—სასახლეში იქნები დედოფალთანაო!!

**იაგ**. სობსტვენო ლოვორია, რა ვიცოდი თუ ასე იქნებოდა. .

**რიმ**. ეჰ, არ მჯერებია დედოფლის გვერდით ჯდომა .. წავიდეთ, გენაცვალე!

**იაგ**. შენ წადი... მე კიდე ვცდი—იქნებ დავაჯერო!

**რიმ**. შენ იცი, შენს სულს ვენაცვალე! (გადის).

**იაგ**. (პაუზა) სობსტვენო ლოვორია. .

**სოსო**. (შეუყვირებს) რა გნებავთ?

**იაგ**. (შეკრთება) აა... არაფერი.. მარა ..

**სოსო**. მაშ თავი დამანებეთ!

**იაგ**. კითომ... ეს...

**სოსო**. თავი დამანებეთ!..

(გაგრძელება შემდეგ ნომერში)

**ვ. შალიკაშვილი**

# ნაძალადევ-დიდუბეს მუშათა კლუბების გარშემო

(გაგრძელება. იხ. „თ. და ც." № 24)

ნაძალადევის სახალხო სახლი, ეს პირველი შენობაა, თვით ამა უბნის მუშების ინიციატორობით აგებული.

ბურჟუა-კაპიტალისტის ხელი აქ არ ურევია.

ამ უბნის მუშების ცოლ-შვილი, დედა და მამა, ძმა და ამხანაგი, აი ეს მთლიანი ოჯახის წევრები, განუყოფელნი ჭირსა და ლხინში, ეზიდება ქვებს და სხვა დაუმზადებელ მასალას მოედანზედ. საუცხოვო სანახაობას წარმოადგენს ეს მუშაობა იმ დროს: ჭიანჭველასავით ჩამწკრივებულნი რიგში, ვებერთელა ტვირთით, პერანგის ამარა, ფეხშიშველნი ბავშვები მიფუსფუსობენ მოედნისაკენ.

იქ კი ხვდება დახელოვნებული მუშა—პრაქტიკით ინჟენერი, კალატოზი,—ტეხნიკი, - დურგალი და ზეინკალი. შრომა განაწილებულია, თითეულ ოჯახის წევრს სურს წვლილი შეიტანოს ამ მუშაობაში.

პატარა შენობა, რომლის მეოხებით ახალი დიდი თეატრის სახლის აშენებას მიჰყვეს ხელი, დიდ სამსახურს უწევდა, როგორც მატერიალურად, ისე ზნეობრივათაც. ამ პატარა აკვანმა შეაყვარა და გააცნო ამ უბანს თეატრი და ხელოვნება, აქ ჩაიყარა საძირკველი თეატრის სიყვარულისა, სწავლა-განათლებისა, აქ აიმართა ტრიბუნა თავისუფლების წლალადებელთა. აქ, ამ უბანში დაიზარდენ ის მუშათა არწივები, რომლებმაც შეანგრიეს რუსეთის თვითმპყრობელობის კედლები, გაანთავისუფლეს მუშათა კლასი მონარქიის ბრჭყალებისგან და დღეს თავის სამშობლოს მუშათა კლასს დარაჯათ უდგიან სათავეში.

სწავლა-განათლებისა და ხელოვნების დარგში დიდი ღვაწლი და მუშაობა მიუძღვის ძარიამ დემურიას, ილია სუხიშვილს, სოფლის მასწავლებელს ლომიძეს, გ. სადალიშვილს, გრ. ჩაოკვიანს, **ახირებულ კაცს** იოსიმედაშვილს, მსახ სვიმონიძეს, სანდრო გოგიშვილს მეუღლით (სონა) და მრავალ სხვებს. უკან სკნელზედ შემდეგში მოვილაპარაკებთ უფრო ვრცლად.

დიდი და პატარა ერთი აზრით იყო გამსჭვალული: „მუშის ბედს თვით მუშა გაოსჭედსო" და ეს თქმულება პირნათლად გაამართლეს ცხოვრებაში ნაძალადევლებმა.

„ამხ. გიგო! დღეს პალუჩკა დაგვირიგეს. მინდოდა ბავშვიზა წუღა მეყიდა, მაგრამ ამ ზაფხულში არა უშავს ფეხშიშველიც რომ იყოს. ეს ექვსი აბაზ და საპი შაური ჩამიწერე ამ ჩვენი თეატრის შემოწირულებაში", ასე მიმართავს დეპოს მუშა მათგან არჩეულ ხაზინადარს.

„ტასია—ქალო! ამ კვირაში სარეცხი და საკერავი ბევრი გქონია, რომ სამი აბაზი შეგიწირავს ამ ჩვენი თეატრიზა. მე კი უბედურმა 27 კაპ. მეტი ვერ ჩამევირჩინე და ჩამიწერე ეხლა ეს, სააღდგომოთ კი მანეთამდე შევასრულებ."

„დედა! მომეცი ერთი შაური და დღეს საჭმელს არ ვჭამ, თუ ვასილმ იშოვა გუშინ შაური და თეატრს შესწირა, სირცხვილი არაა მე არ შევწიროო?!" ასე მიმართავს ცხრა წლის ვანო დედას.

ყველას ერთი აზრი ჰქონდა, ერთი შეხედულება ამ კულტურა-განათლების ტაძარზედ. ყველას პირზედ ერთი სახელი ეკერა **სახალხო თეატრის შენობა**. აქედან ჩვენ თამამად შეგვიძლია ვსთქვათ, რა დიდ მნიშვნელობას აძლევდენ ამ უბნის მცხოვრებნი თეატრსა და ხელოვნებას.

**ან. კაციაშვილი**

(შემდეგი იქნება)



**მიხეილ კავსაძე**

სახალხო გუნდის ლოტბარი

ბათუმ-აჭარაში, გურია სამეგრელოში და აფხაზეთში გამგზავრების გამო.—

# მომავლის იმედი

## ბებე ჯაიანი

„ჩვენი თავი ჩვენადვე გვეყუდნოსო“, სთქვა დიდებულმა ილიამ და სწორეთ დადგა ჟამი, როდესაც თავისუფალ „ამირანის“ შვილები თავისებური შემოქმედების გზას უნდა დავადგით.

ამ ოციოდე წლის წინად საქართველოში ხელოვნება, მისი ბრწყინვალე საჯე, სარკე ჩვენის ცხოვრებისა ბჟუტავდა, როგორც შორს ბურუსით მოცული ბნელეთში ძლივს, მისუსტებულად მნათობი სხივი. მიუხედავათ ყოველივე დაბრკოლებისა, ქართველმა ერმა არ დაჰკარგა ხელოვნების ბრწყინვალე აყვავებისა და მით თავისი ეროვნული ძალღვის ცემის გამაორკეცებელი იმედი.

დღეს იშვიათია ისეთი კუთხე, სადაც ხელოვნებაზე სახალხო სცენაზე, თეატრზე არ ქონდეს ბაასი და მისი ვაუმჯობესებისთვის არ ზრუნავდეს. ჟურნალ „თეატრი და ცხოვრების“ ფურცლები. როგორც მკითხველს მოეხსენება, საესეა ასეთი შინაარსის რეცენზიებით და ჩვენ, როგორც პროვინციის მომუშავე, დიდათ გვაკვირვებს ასეთი ახმაურება ჩვენი ერის კულტურულ. ზნეობრივ და გონებრივ განვითარების სფეროში და ვამბობთ. რომ ქართველი ხალხი თავისებური შემოქმედების გზას დადგა (самобытного творчества) თუ სხვა სფეროში არა, ამ დიად მიჯნიერების დარგ ხელოვნების სფეროში მაინც, თუმცა გასაკეთებელი ჯერ კიდევ ბევრი დაგვრჩენია.

როგორც ერთი ცოცხალი პროვინციათაგანი ქ. ახალსენაკის მაზრა და სახელდობრ თვით სენაკი ს სცენო ხელოვნების დარგში ენერგიულ მუშაობას აწარმოებს. აქაურ ინტელიგენციის თავგამოდებული მუშაობა დაუფასებელია. აქ არსებობს დრ. საზ-ბა თავის სახალხო სცენის მსახურთა წრით. განზრახული აქვთ საკუთარი სათეატრო დარბაზის აშენება, რომელიც უჯდებათ რამოდენიმე მილიონი მანეთი. თანხა ცოტა დღესაც აქვთ.

სცენის მოყვარეთა შორის ბევრ ნიჭიერსაც შენიშნავთ. აღსანიშნავია ბებე ჯაიანის ასული, ყურადსაღებია მისი მოღვაწეობა სახალხო. სცენაზე. რამოდენიმე წელიწადია რაც იგი როგორც ქ. სენაკში აგრეთვე ქ. სოხუმშიაც თამაშობს სცენაზე. მოსახსენებელია აგრეთვე შალვა კალანდარიშვილი, გიორგი ჯაკობია და სხვ. მაგრამ ბებე ჯაიანი „ეგ მომავლის იმედი“ მეტი სავანეა სცენიური ხელოვნების ნიჭისა. არ უნდა იფერფლებოდეს ასეთი პიროვნება, როგორც არის ბებე ჯაიანის ასული; უქმად არ უნდა ვიდოდეს მისი სცენაზე მონაწილეობა, დროებითი არ უნდა იყოს არამედ მუდმივი. მას კარგი ხელმძღვანელი რომ ჰყავდეს ჩვენი სცენის დამამშვენებელი თითით საჩვენებელი მსახიობი შეიქნება.

საჭიროა ყოველ დაბაში, სადაც კი არის ასეთი ძალები, სახალხო სცენის მსახურთა წრეს ხელმძღვანელ რეჟისორად რომელიმე გამოცდილი მსახიობი ჰყავდეს, რომ ახალგაზდა ნიჭს ფართედ გაუხსნას გზა სასცენო ხელოვნებისადმი. სხვა დაბა-სოფლებს თუ მოეპოება ხელმძღვანელი, ამ მხრივ ქ. სენაკი მივიწყებულია.

იმედია ჩვენი ჟურუმი-მოამაგე მასწავლებლები მიაქცევენ ყურადღებას ამ მცირე წერილს და ყოველ დაბაში, სადაც კი არსებობს დრ. საზ-ბა მისი სცენის მსახურთა წრით და სათეატრო დარბაზით რიგიან ხელმძღვანელთ მიაშველებენ. თუ გვსურს ხელოვნება არ დამახინჯდეს, ყველას გული მისკენ მიუწევდეს, ყოველი დაბრკოლება უნდა ავიცილოთ და ისე ვემსახუროთ როგორაც შეფერის და მისი ბრწყინვალე მომავალი მტკიცე résone d'etre-ი (არსებობის აზრი) ძვალში უნდა გვქონდეს გამჯდარი. თუ რამე სენი გვაქვს ამ დარგში დროით უნდა განვიკურნოთ.

ბრწყინვალე გამარჯვება ჩვენი ეროვნულ მთლიანობის და ჩვენი ერის გონებრივად განმავითარებელ—გამკაჟებელს მელპომენის ტაძარს!

შალიკო წერეთელი.



**ნაძალადევის მუშათა კლუბში** 26 მაისს დამოუკიდებლობის დღის აღსანიშნავათ გამართულ იქმნა დიდი სალ მო. დღის შესაფერი მოხსენება გააკეთა დამფუძნებელ კრების წევრმა ამხ. ნათაძემ. შემდეგ რკ-ნის გზელთა სცენის მოყვარეთა წრის მიერ შ. ბერიშვილის რეჟისორობით წარმოდგენილ იქმნა ი. ჭავჭავაძის „დედა და შვილი“ და ს. შავგულიძის მხიარული კომედია „ფარნაოზის მესამე ცოლი“. პიესები მწყობრად ჩატარდა. დასასრულ საკონცერტო განყოფილებაში მიიღეს მონაწილეობა მომღერლებმა: აკოფაშვილმა, ჭუმბურიძემ, ლორთქიფანიძემ, გაპაშიძემ, ფავლენიშვილმა.

— იგივე პროგრამა განმეორებულ იქმნა იმავე დღეს მუშტაიდის კლუბში.

შაბათს 29 მაისს, ფრონტის სასარგებლოდ რკინის გზელთა სცენის მოყვარეთა წრის მიერ შ ბერიშვილის რეჟისორობით, წარმოდგენილი იქმნა ვ გუნიას „და ძმა“ წარმოდგენამ დიდძალი ხალხი მიიზიდა, რადგან მთელი სეზონის განმავლობაში ჯერ არ დადგმულა არც ერთი ისტორიული პიესა. ზემოხსენებულმა პიესამ საერთოდ მწყობრად ჩაიარა, რასაც ხელს უწყობდა კარგი დეკორაციები (მეტადრე საკანი). კარგად შეასრულეს მინიჭებული როლები ნ. ბერძენიშვილმა (მარინე), ან. ლითანიშვილმა (ადამია), ვ. კუდუხაშვილმა (გაიოზი), ალ. ძაძამიამ (გიორგი). მოისუსტებდა ს. თევზაძე (ოტია) ამ სცენის მოყვარეს აქვს შესაფერი როლები და კარგადაც ასრულებს მათ, ხოლო ოტიას როლის სიმძლავრე სავსებით ვერ გადმოგვცა. გ. შავშიშვილსაც (ფარად ფაშა) რომ იტყვიან—მარილი აკლდა! დ ნარჩენნი ანსამბლს ხელს უწყობდენ.

შაბათს 5 ივნისს, კომედია „სტუმარ-მასპინძლობა“. პიესა საუცხოვოდ იყო დადგმული, რასაც ხელს უწყობდა სცენის სიმშვენიერე და ყოველივე წვრილმანის გათვალისწინება პიესის ხელმძღვანელის მიერ, თითქმის ყველა სცენის მოყვარემ პირნათლად შეასრულა მინიჭებული როლი. როლის უცოდინარობის ნასახიც არ იყო, განსაკუთრებით მოგვეწონა თავიანთ თამაშით ა. ლითანიშვილი (ალექსი), ვ. კუდუხაშვილისა (ნუცა) და კ. ქორთველიშვილი (ოთარ). მოისუსტებდა ს. თევზაძე (ბეჟიკო) მან ნათლად ვერ დაგვისურათა ნამდვილი იუმორისტის პიროვნება. იმედია უფრო დაბეჯითებით ჩაუკვირდება როლს და შემდეგში შეასწორებს ყოველივე ნაკლს.

დასასრულ წარმოდგენილი იქმნა ვ. გუნიას „არივ დარია“, რომლის დადგმაც სრულიად ზედმეტი იყო სიგვიანისა გამო. პიესა სუსტად ჩატარდა.

წარმოდგენას დიდძალი ხალხი დაესწრო. შენიშვნა დარბაზში წესიერების დამცველთ: საჭიროა რომ მაყურებელნი ხელს არ უშლიდენ პიესების მსვლელობას განუწყვეტლივ ხმაურობით. ხან და ხან სცენიდან სრულებით არაფერი ისმოდა.

ივნისი 6 იმავე წრის მიერ კლუბ მუშტაიდში წარმოდგენილი იქმნა „და-ძმა“ დრ. 5 მოქ. და 6 სურ. ვ. გუნიასი. პიესა საერთოდ კარგად იყო მომზადებული, ხოლო ძლიერ უშლიდა ხელს მის მსვლელობას ელექტრონის სინათლის უვარგისობა. საჭიროა ჯეროვანი ყურადღება მიექცის ამ გარემოებას.

შაბათს, 12 ივნისს წარმოდგენილი იქმნა კარეევის დრამა 3 მოქ. „ცხოვრების გმირი“. საერთოდ პიესამ მწყობრად ჩაიარა. უმთავრეს როლის ამსრულებელი დ. ჩარკვიანი (პეტია) ჩვეულებრივად საუკეთესო იყო. მოსალოდნელიც იყო მისგან, რადგან იგი ითვლება ერთი საუკეთესოთაგანი ამსრულებელი ამ როლისა. თუმცა პეტიას დამახასიათებელი მისი სიმკვირცხლე და ახალგაზრდობის მჩქეფარე ენერგია, მაგრამ ჩქარი ლაპარაკი მაინც ცოტა ხელს უშლიდა, მით უმეტეს, რომ თეატრს კარგი რეზონანსი აქვს და თუ მკაფიოდ არ იქმნა წარმოთქმული ყოველივე სიტყვა, გამოძახილში იკარგებიან იგინი. უნდა აღინიშნოს აგრეთვე ვ. კუდუხაშვილისას (მ ნია), ნ. მაჭავარიანის (ზინა), ვ. კუდუხაშვილის (აპატოვი) და ს. გარე-კახელის (ამალია) დაკვირვებული განსახიერება თვისი როლებისა. მეტის-მეტი მრისხანე მამა იყო ა. ლითანიშვილი (არიევი). პირველ მოქმედებაში, ჩვენის აზრით, არც ისეთი გაავთრებული უნდა ყოფილიყო იგი. დანარჩენნი ანსამბლს ხელს უწყობდენ. წრის მუშაობას ეტყობა გამოკვეთება, მეტადრე მონაწილეთა შერჩევით და სცენაზე ყოველივე წვრილმანის გათვალისწინებით. ყოველივე ეს კარგ შთაბეჭდილებას სტოვებს მაყურებლებზე.

იგივე პიესა იმავე შემადგენლობით წარმოდგენილი იქმნა კვირას, 13 ივნისს, მუშტაიდის კლუბში. სინათლე კვლავ ნამეტანი სუსტი იყო. დიდი ყურადღება უნდა მიექცეს ამ ნაკლს.

**გუ—ლი**

— —

**ქ. გორის** საზაფხულო საკრებულო დარბაზში ივნისის 29 გაიმართა ქართული მუსიკალური საღამო, გორის საოლქო სახალხო გვარდიის შტაბის მუსიკოს მიერ ბოგოსლოვეცის ლოტბარობით 2 განყოფილებით. საღამო დაიწყო ქართული ჰიმნით; შესრულებული იქმნა კომპოზიტ. ფოცხოვერაშვილის, ბალანჩივაძის მუსიკალური ნაწარმოებნი, საიდანაც ნათლად სჩანდა ბ. ბოგოსლავეცის და მის მუსიკოსს-დამკვრელების შემოქმედებითი უნარი ხელოვნების ამ დარგში. შესვენების დროს გვარდიელმა შ. გოგიბედაშვილმა წაიკითხა იუმორისტული სცენები და ახალგაზრდა პოეტმა ა. გასიტაშვილმა წარმოსთქვა საკუთარი ლექსები ფუტურისტულ კილოზე. საღამო დამთავრდა ცეკვა-თამაშით. ხალხი კმაყოფილი დარჩა. დამსწრე საზოგადოებამ ლოტ. ბოგოსლავეცი-მუსიკოსებით, გვარ. შ. გოგიბედაშვილი და ა. გასიტაშვილი დააჯილდოვა ტაშით.

**ისანი**

**თერჯოლის თემის** ს. ღვანკითში ივნისის, 12 უგრეხელიძის სახლში, თერჯოლის დრამატიული წრის მიერ გაიმართა წარმოდგენა. წარმოადგინეს „გურიაში“ დრამ ილორელისა, „უბედური დღე“, „გოგიას საცოლე“ და „ფარნაოზის მესამე ცოლი“ შალგულიძისა. მონაწილეობდენ: შ. მხეიძე, ა. ბაგრატიონი, ა. უგრეხელიძე, ვლ ნემსიწვერიძე, დ. ჯუღელი და ტომია კროჭი. ყველანი მომზადებული გამოვიდნენ სცენაზე. თვითეულმა ზეპირად იცოდა და კარგათაც ასრულებდა დაკისრებულ როლს ძლიერ კარგათ შეასრულეს შ. მხეიძემ, ა. ბაგრატიონმა დ. ჯუღელმა და ელ. ნემსიწვერიძემ. მონაწილენი ტაშით იქმნენ დაჯილდოვებულნი. სიმართლე უნდა ითქვას, რომ თერჯოლის დრამატიულ წრეს ეტყობა საქმის ერთგულება. დაიმედებული ვართ, რომ მომავალში თერჯოლა გადაიქცევა ამ ხრივ საქებად და სადიდებლად. ყოველ გამართულ საღამოს შემოსავალი ხმარდება კულტურულ დაწესებულებებს, რაც შემწეობას აძლევს ათასგვარ გაჭირვებაში მყოფ მშრომელ ხალხს, რადგან ის ფული რაც ხმარდება დაწესებულებებს, მათი ჯიბიდან უნდა ამოსულიყო.

**ვ. გუთნისპირელი**

— —

**ს. დიხაშხო** (ქუთ. მაზ.). ძნელი შესაფასებელი ყველა ის, რაც ამ სოფლის ახლად შედგენილმა წრემ „სხივმა“ იმოქმედა თავისი დაუღალავი შრომითა და ოფლით. სულ ერთი თვეა რაც ეს „სხივი“ დაარსდა და ნამდვილ სახელის — სხივის შესაფერობა დაეტყო ენერგიულად მომუშავე ხელ-მძღვანელების წყალობით. ერთ თვეში სამი წარმოდგენა დადგა სხვა და სხვა გასართობებით. უკანასკნელად წარმოადგინეს იოსებ იმედაშვილის „მზის ამოსვლამდე“, რომელიც ამოიღეს „თეატ. და ცხოვ.“-იდან. ყველა დაბრკოლებას „სხივმა“ ფრთა შეაჭრა და თავისუფლად მოქმედობს.

**ვ. ოლიაშვილი**

# მ ი ლ ო ც ვ ე ბ ი

„თეატრი და ცხოვრება“-ს არსებობის 10 წლის შესრულების გამო.

მარტვილის დრამატიული საზოგადოება მხურვალე სალამს უძღვნის ქართული სცენის დაუღალავ დარაჯს და ხელოვნების ტაძარში უანგარო მუშაკს ბ. იოსებ იმედაშვილს მის მიერ დაარსებულ ჟურნალ „თეატრი და ცხოვრები“-ს ათი წლის შესრულების გამო. უსურვებს მას დიდი ხნის მუშაობას ქართულ ხელოვნების წალკოტში.

მარტვილ. დრამატ. საზ-ების მონდობილებით

**აქ. ფარულავა**

— —

**ბ. იოსებ!**

თქვენი დაუღალავი, ენერგიული, ფასდაუდებელ მუშაობით დაიმსახურეთ საერთო სიყვარული. გისურვებთ ერთხელვე აღებული გზა, ჩვენი ხელოვნების ლიტერატურის ასაყვავებლად ბოლომდე მიგეყვანოთ და გადაგელახოთ ყოველივე დაბრკოლე-



მ. კავსაძის სახალხო გუნდი (დაარ. 1910 წ.)

ამ დღეებში გაემგზავრება ბათუმს და სხვ. სამხედრო უწყ. კულტ. სექციის ინიციატივით ეროვნულ კონცერტების გასამართავ დ.

ბა. თუ დღეს საკმარისად არ ფასდება თქვენი ღვაწლი, მომავალში საქარ. მშრომელი დემოკრატია, რომელიც სტკბება ხელოვნების ნაყოფით, ღირსეულ ფასს დასდებს თქვენს თავდაუზოგავ მუშაობას ხელოვნების ასპარეზზედ.

ს. ადიგენი. ახალც. მაზრა. **პ. ლესელი**

— —

მოგილოცავ, ჩემო საყვარელო სოსო, თქვენ სასახელოდ თქვენი სიამაყე—საყვარელი „თეატრი და ცხოვრები“.ს ათი წლის თავს... გულწრფელად გისურვებ, ძმაო, ამ თქვენს სათაყვანო დიად საქმეს კიდევ დიდ ხანს ედგეთ თქვენებურად... დაუღალავად... და იმედაშვილურ სიდინჯით... კიდევ და კიდევ გისურვებ ჯანსაღად ყოფნას.

**ვასო მუშა - ალანია**

— —

**ბ-ნო იოსებ!** თქვენი საყვარელი ჟურნალის
„თეატრი და ცხოვრების“ ხელმძღვანელობა
ათი წელი ხელში გეპყრათ
და იცავდით მედგრათ მტრისაგან,
თქვენ ითმენდით დამცირებას
ყოველის მხრით, ყველასაგან...

მაშ აწიცა წინ უშიშრათ
უფრო მეტის ენერგიით,
მე თქვენს სახელს მუდამ მოვფენ
გაზაფხულის კოხტა იით.

**მარიამ რ. ხუბუტია**

**„თეატრი და ცხოვრება“-ს** ხელის მომწერთ საყურადღებოდ. ვინც კუთვნილ ფულს არ შემოიტანს, მომავალი ნომერი აღარ გაეგზავნება. ფული უნდა გამოიგზავნოს: თბილისი რუსთაველის პრ. № 26, „ქართული ბეჭდვითი ამხანაგობისა“.

# გამომცემლობა ქართული ბეჭდვითი ამხანაგობისა

აცხადებს, რომ იგი შეუდგა წიგნების გამომცემლობას და აწარმოებს ამ საქმეს ფართო მასშტაბით.

**უკვე გამოვიდა გასასყიდათ:**

1) Красная книга (რუს. ენ.) ყარიბისა.
2) ნოე ჟორდინიას თხუზულებათა I ტომი.

**იბეჭდება და მალე გამოვა:**

1) ახალი დროის ისტორია პროფ. ს. ავალიანისა.
2) ბუნების სარკე I ნაწ. ივ. ელიაშვილისა.
3) მსოფლიო ისტორია I, II და III ნაწილი სახალხო სკოლებისათვის ალ. წერეთლისა.
4) ბოტანიკა სეით იაშვილისა
5) ევროპა (გეოგრაფია) მისივე.
6) ქართული ლიტერატურა მე 18 და მე 19 საუკუნეში 16 წიგნათ გ. ჯავახიშვილისა.
7) თხზულებანი შიო არაგვისპირელისა 5 წიგნათ.
8) არითმეტიკულ ამოცანათა კრებული I ნაწილი მთელი რიცხვები I კლასის კურსი **ს. დათეშიძისა**
9) ბოტანიკა **არკ. ჩხენკელისა**
10) ბუნება I ნაწ. მისივე

წიგნების საწყობი მოთავსებულია ამხანაგობის კანტორასთან (რუსთაველის პროსპექტი № 26), საიდანაც შეიძლება გამოცემათა დაკვეთა და მიღება.

**გამომცემლობას აქვს საკუთარი სტამბა და საკაზმავი,** სადაც სრულდება ყოველგვარი საქმე **ჩქარა, სუფთად და ხელმისაწდომათ.** (10—4).

**რედაქტორი იოსებ იმედაშვილი** გამომცემელი **ქართული ბეჭდვითი ამხანაგობა**

სტამბა ქართული ბეჭდვითი ამხანაგობისა, რუსთაველის პრ., № 26